ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 13 მარტი, 2023 | №50 (9086) | ფასი: 80 თეთრი

## მარტვილში შვილმა მოხუცი დედა პენსიის გამო ნაჯახით მოკლა

გვ.5




# „ამერიკა ივანიშვილს ლიად დაემუქრა“



გვ.2



დავით ზურაბიშვილი: „მსოფლიოში არავის არ მოუგია ომი ახალგაზრდა თაობასთან. ეს გამორიცხულია!“

„ამ ხელისუფლების მეოთხე ვადით მოსვლა სრული კატასტროფა იქნება. უნდა, არ უნდა, მოახერხოს ოპოზიციურმა სპექტრმა და ცოტა თავი გამოიჩინოს“

## „ამერიკა მალე რუსეთს მოარჯულებს. კრემლს საცეცები საქართველოშიც მოეჭრება“

მირიან მირიანაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად მკვდარია“



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ეს ხელისუფლება ევროკავშირის სტატუსის მიღებას ჩააგდებს“

## „ვანო მერაბიშვილის მატარებელმა „უცნობის“ მატარებელთან ერთად ჩაიარა“



გვ.4



გვ.7

იტალიური მედია: „კვარაცხელია მეცნიერებმა შეამოწმონ? არა, ვიყოთ გაურკვევლობაში“



ირაკლი ღარიბაშვილი: „ცდილობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოიტანონ დესტაბილიზაცია და ომი. ვიქნებით უკომპრომისო“

გვ.4

**5** სასამართლომ ბადრი ესებუას საქმეზე ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ახალი მტკიცებულება დასაშვებად ცნო

**4** მეუფე შიო: „ჩვენში სასუფეველი რომ დამკვიდრდეს, ამისთვის უნდა შევისმინოთ, დავუჯეროთ ჩვენს ეკლესიას, როგორც ჩვენს მშობელ დედას“

**5** „მომაქციეს წრეში, ექვსი კაცი მეჯიკავებოდა და მტენიდა მანქანაში“

**6** რა პროვოკაციებს ამზადებს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ

# „ამერიკა ივანიშვილს ღიად დაემუქრა“

ნონა ცაბაძე

## დავით ზურაბიშვილი: „მსოფლიოში არავის არ მოუგია ომი ახალგაზრდა თაობასთან. ეს გამორიცხულია!“



„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.

***– ბატონო დავით, საკმაოდ ბობოქარი კვირა გავიარეთ, დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვებით. რა გვაჩვენა ამ დღეებმა? ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა „ქართული ოცნება“.***

– ეს არ არის ცუდ მდგომარეობაში აღმოჩენა, რაც „ქართულ ოცნებას“ მოუვიდა. მე ვფიქრობ, ეს არის მათი დასასრულის დასაწყისი. პრინციპში, უკვე დასასრულია. ფაქტობრივად და იდეურად მკვდარია „ქართული ოცნება“, ანუ ყველა ხელისუფლებას, გარდა იმისა, რომ ძალაუფლების ბერკეტებს ფლობს, სჭირდება რაღაც იდეასავით, იდეოლოგიასავით, სხვა საფუძველი, თუ რატომ უნდა იყოს ის ხელისუფლებაში. აქამდე „ქართულ ოცნებას“ ერთადერთი იდეური რამ ჰქონდა, განსაკუთრებით ბოლო დროს, რომ არა „ქართული ოცნება“, იქნება უარესი, მოვლენ ნაცები ან იქნება ომი.

***– დიახ, ომი გინდათ? საკმაოდ დიდხანს ამუშავეს.***

– კი, ასე იყო, თუმცა ამით ხალხს უკვე ველარ შეაშინებ. ეს აღარ იმუშავებს. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რომ ხელისუფლებამ გვაჩვენა, მას შეუძლია, ქვეყნის ღალატზე მოაწეროს ხელი. არ მიყვარს ასეთი პათეტიკური განცხადებები, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა. დავინახეთ, რომ ძალიან მარტივად მიდიოდა იმაზე, რომ შეეცვალა გეოპოლიტიკური ორიენტაცია. პროდასავლური ორიენტაცია ჩვენთვის არის ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების სივრცე. ეს არ არის ერთი ბატონის მეორით შეცვლა. სხვაგან ჩვენ ვერ განვვითარდებით. ამის ალტერნატივა არის რუსეთის უკანა ეზოდ, გუბერნიად ან თუნდაც კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნა. აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი დღეს რუსეთის კანონმდებლობის ქვეშაა და, რა დღეშიც არიან, ჩვენთან შედარებით, კი ვხედავთ. ესეც მეორე ფაქტორი, რომ ყველაფერზე წამსვლელები აღმოჩნდნენ. რაც შეეხება მესამე ფაქტორს, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხალხის არჩევანი ევროპაა. არ გაუვათ არანაირი მითი, რომ სოციოლოგია იტყუება და ასე შემდეგ. უნდა ამ ხალხს ევროპა! ეს ხალხი ევროპაში ხედავს საკუთარი ქვეყნის მომავალს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, ახალგაზრდობის გამოსვლა. ბუნებრივია, ეს ყველამ შეამჩნია. შეიძლება ითქვას, რომ ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ მოვლენებში. ამდენი ახალგაზრდაა გამოსული. მე აღარც მახსოვს, ბოლოს როდის იყო. სრულიად სხვა თაობა, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული.

***– არ აინტერესებთ ნაცქოცობა...***

– აბსოლუტურად სხვა თაობაა, ინტერნეტსა და სმარტფონებზე გაზრდილი, რომლისთვისაც დასავლური სამყარო ლამის მშობლიური სივრცეა. რუსეთი კი რაღაც ეგზოტიკური ურჩხულია. ახლა ამ მშობლიურ სივრცეს მოსწყვიტო მთელი თაობა და ეგზოტიკურ ურჩხულთან შესაჭმელად წაიყვანო, ამას, რა თქმა უნდა, ბოლომდე შეაკვდება და ასეც მოხდა. ეს ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის.

***– ამიტომ დათმეს ასე მარტივად თუ იყო სხვა გარემოებებიც?***

– რა თქმა უნდა, მარტო ეს არ ყოფილა, თუმცა ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან შოკის ეფექტი იქონია. მსოფლიოში არავის არ მოუგია ომი ახალგაზრდა თაობასთან. ეს გამორიცხულია! თუ ახალგაზრდა თაობა მასობრივად გამოდის, იქ წაგებული უკვე ხარ.

***– ისიც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მაქსიმალურად გამიჯნეს ოპოზიციური პარტიები და ვერავინ დაიბრალა ბელადობა.***

– ეს ყოველთვის ასეა. როდესაც ამხელა მასა გამოდის და ბელადი არა ჰყავს ამ მასას, მაშინ პოლიტიკოსები გადადიან უკანა პლანზე. ეს ძალიან მასობრივი და სახალხო პროტესტი იყო. მე ვფიქრობ, რომ

### „ამ ხელისუფლების მეოთხე ვადით მოსვლა სრული კატასტროფა იქნება. უნდა, არ უნდა, მოახერხოს ოპოზიციურმა სპექტრმა და ცოტა თავი გამოიჩინოს“

ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ გამორჩათ ეს ფაქტორი, გამოეპარა, ანუ ის ხომ ყველაფერს აკონტროლებს, ყველა ყველას გადაჰკიდა, დაქსაქსა, ინტრიგები ჩააგდო, ვილაცაზე კომპრომატი აქვს და ამას ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ. აღმოჩნდა, რომ არის უზარმაზარი მასა, რომელთანაც ვეებერთელა მსოფლმხედველობრივი უფსკრული აშორებთ. მე ძალიან მახალისებს ხელისუფლებისა და „ხალხის ძალის“ განცხადებები, რომ უნდა იარონ და აუხსნან ამ ახალგაზრდებს, თურმე რა კარგ რაღაცას აკეთებენ. ვხალისობ ამაზე. საერთოდ არ იცნობენ ამ თაობას.

***– ბიძინა ივანიშვილის ადვოკატმა რადიო „იმედს“ მისცა ინტერვიუ და განაცხადა, რომ საერთოდ არ იყო საჭირო ამ კანონის მიღება და ამხელა ამბის ატეხა. რა ხდება, ბიძინა ივანიშვილის „გაპრავებას“ ცდილობს, რომ მას არ მოსწონდა ეს კანონი?***

– მაგათ ასეთი მესიჯები ჰქონდათ სულ, მანამდეც. ეგ ფლანგი ბიძინას გამწესებული ჰყავს, როგორც პროდასავლური. მას ხომ სჩვევია, რომ პროდასავლელებიც უნდა ჰყავდეს და პრორუსებიც.

***– ერთდროულად ორ მოედანზე თამაშობს?***

– დიახ. თუმცა ამჟამად აშკარა იყო, რომ რუსეთის ინტერესებს ემსახურება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს რუსეთის რეაქციაზე გამოჩნდა. აშკარად ეს იყო მათი სურვილი. ეს არ ხდებოდა რუსეთის გარეშე. ეს ხომ ცხადი გახდა.

***– ახლა კანადა დაიხვიეს ხელზე, იქაც იღებენ იმავე კანონსო.***

– ეს ძალიან სასაცილოა. კარგით ახლა, რაზე ვლაპარაკობთ. რა, კანადაში სოროსის წინააღმდეგ იღებენ კანონს და საერთაშორისო გამჭვირვალობის? იქ არის უცხოური მტრული ქვეყნების წინააღმდეგ და აქ რომელი მტრული ქვეყნების წინააღმდეგ იყო ეს კანონი?! ანტიფაშისტური კანონმდებლობა რომ შეადარო ანტილიბერალურს, აი, ეგ არის.

ბოლოს ერთი მთავარი მომენტიც, რაც აუცილებლად უნდა ითქვას. კვლავ გამოჩნდა, რომ ეს ხელისუფლება ექვემდებარება ზეწოლებს, არა მარტო შიგნით, არამედ გარე ზეწოლებსაც. დარწმუნებული ვარ, მთელი ღამე რომ არბიეს ეს ბავშვები და ეს ახალგაზრდები, დილით მოახსენეს ბიძინას ანგარიში. სწორედ ამ დროს გამოუცხადა ბიძინამ, ახლავე გაიწვიეთ ეს კანონი უკანო.

***– სასესიო კვირასაც არ დაელოდნენ, სასწრაფოდ უყარეს კენჭი და ჩააგდეს.***

– კი, ვნახეთ, როგორ უცებ გააკეთეს ყველაფერი, დიდი ფართხაფურთხით, იმიტომ, რომ მართლა სამოქალაქო ომის წინაშე დააყენა ქვეყანა. ეს აქცია საბოლოო შედეგის მიღწევამდე არ დაიშლებოდა. თუმცა, მხოლოდ შიდა პროტესტი რომ ყოფილიყო, ბიძინა ივანიშვილი ყველაფერზე წავიდოდა. ბელარუსში ძალიან დიდი აქციები იყო, ლამის მთელი თვე გრძელდებოდა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა.

***– მაშინ, რატომ დაიხია უკან ასე უცებ ივანიშვილმა?***

– აქ უკვე მეორე მომენტიც წამოვიდა. მე არ ვიცი, თვითონ შიგნით რა სიტუაცია ჰქონდათ, გამორიცხულია, „ოცნებაში“ ვინმე აბუნტებოდა ბიძინას. თუმცა აქ იყო ძალიან სერიოზული ზეწოლა დასავლეთიდან. კონკრეტულად კი ამერიკიდან, შიდა პროტესტის პარალელურად. საქართველოში ხელისუფლების ცვლილება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არის ორმხრივი ზეწოლა ხელისუფლებაზე, შიგნიდანაც და გარედანაც. ცალ-ცალკე არ კმარა არცერთი. ორი მხრიდან რომ ურტყამენ, მერე აღარაფერი შველის. როგორც კი ეს კანონი მიიღეს, ვუყურეთ, ნედ პრაისმა ბიძინა ივანიშვილზე რა თქვა – აქვთ საიმისო ბერკეტები, რომ ზემოქმედება მოახდინონ იმ ხალხზე, ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებს. პრაქტიკულად თქვა, დედას გიტირებთო.

***– ღია მუქარა იყო?***

– დიახ, მუქარა იყო ღია. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოა და ის ჰაერზე არ ისვრის სიტყვებს. შვეიცარიის ბანკი რომ ფულს არ ურიცხავდა, ის ეგონა ბიძინას ამერიკის ზეწოლა და ამერიკა რა შუაში იყო, ბანკთან ჰქონდა ჩვეულებრივი დავა. ბანკს რომ სასამართლო პროცესები მოუგო, ბიძინამ დაიჯერა, რომ ამერიკას უგებს. იმიტომ ამბობდა გოგა ხაინდრავა, ბიძინამ მუხლებზე დაიმტვრია მთელი ამერიკა და ევროპაო. როდესაც რუსეთის ინტერესები გახდა პრიორიტეტული და ამერიკის ინტერესებს დაემუქრა საფრთხე, იმწუთას ჩართეს საჭირო მექანიზმები და გააგებინეს ბიძინა ივანიშვილს, გააკეთებ ამას და შენს თავს დააბრალე, რაც მოგივაო.

***– პარლამენტმა ლეგიტიმაცია დაკარგაო. ასე ცხვრებივით შერეკილ-გამორეკილი დეპუტატები, როგორ ფიქრობთ, ჩვეულ კალაპოტში როგორ უნდა გაგრძელდეს პოლიტიკური ცხოვრება?***

– არა, ჩვეულებრივ კალაპოტში არ გაგრძელდება ეს ცხოვრება. ეს ცხოვრება გაგრძელდება დაახლოებით ისე, მე სულ ისტორიული ანალოგიები მომყავს, რადგან საქართველოს უახლესი ისტორია კარგად მახსოვს, ყველა მოვლენის მონაწილე ვარ. ეს სიტუაცია, ვგულისხმობ ხელისუფლების სიტუაციას, ცოტათი განსხვავებულია, მაგრამ დაახლოებით ჰგავს 1989 წლის 9 აპრილიდან 1990 წლის ოქტომბრამდე სიტუაციას. 9 აპრილის შემდეგ კომუნისტური ხელისუფლება იყო სრულიად დისკრედიტებული, აბსოლუტურად დემორალიზებული, არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ, მაგრამ ფორმალურად იყვნენ ხელისუფლებაში, სანამ არ ჩატარდა ახალი არჩევნები და არ მოვიდა ეროვნული მოძრაობა.

***– ფიქრობთ, რომ 2024 წლამდე მივა პროცესი, ამას მიანიშნებთ?***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ვანო მერაბიშვილი: „არა ვარ საჯარო პოლიტიკაში, მაგრამ ვარ საქართველოს პატრიოტი“



– მე არა ვარ საჯარო პოლიტიკაში, მაგრამ ვარ საქართველოს პატრიოტი, ჩემი სახელის თვითმიზნური ხსენება და ტყუილების მოგონება ვერ შეცვლის რეალობას, – ამის შესახებ შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, რეალობა არის ის, რომ საქართველო იქნება ევროპაში, ერთიანი და მშვიდობიანი.

– მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ ვიმყოფები და ზოგადადაც ჩემს ყოველდღიურობაში ქართველი პოლიტიკოსების მოსმენაზე ძალიან მცირე დროს ვკარგავ, მაინც მომხვდა თვალში ქ. ოცნების კომიკური მცდელობა – ყველგან და ყოველთვის, უკონტექსტოდ და „ფეიქ“ ნიუსებით ახსენონ ვანო მერაბიშვილი.

კიდევ ერთხელ, მე არა ვარ საჯარო პოლიტიკაში, მაგრამ ვარ საქართველოს პატრიოტი. ჩემი სახელის თვითმიზნური ხსენება და ტყუილების მოგონება ვერ შეცვლის რეალობას.

რეალობა არის ის, რომ საქართველო იქნება ევროპაში, ერთიანი და მშვიდობიანი, – წერს მერაბიშვილი სოციალურ ქსელში.

## ნიკა მელია მერაბიშვილის განცხადებაზე – „რუსეთისა და „ქართული ოცნების“ პროპაგანდისთვის საკვების მიცემა ყველაზე ცუდი სამსახურია“



– რუსეთისა და „ქართული ოცნების“ პროპაგანდისთვის საკვების მიცემა ყველაზე ცუდი სამსახურია, რაც შეიძლება გაუწიო ახლა საქართველოს დემოკრატიულ მოძრაობასა და მრავალფეროვან საზოგადოებას, რომელიც იბრძვის რეჟიმის წინააღმდეგ, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრი ნიკა მელია სოციალურ ქსელში წერს და ეხმაურება შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებებს.

მისი თქმით, ვანო მერაბიშვილის აზრი აინტერესებს ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც ოპოზიციაში არა ქვეყნის მომავლისთვის, არამედ პირადი ინტერესების უზრუნველსაყოფად არის.

– ვანო მერაბიშვილი ამბობს, როგორ უნდა გაგრძელდეს პროტესტი და რა უნდა მოხდეს.

ვანო მერაბიშვილის აზრი აინტერესებს ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც ოპოზიციაშია არა ქვეყნის მომავლისთვის, არამედ პირადი ინტერესების უზრუნველსაყოფად და პირადი გავლენების მოსაპოვებლად.

სხვა დროა, სხვა პროცესია, სხვა პროტესტია, სხვა ხალხია და შედეგიც აუცილებლად იქნება სხვა!

რუსეთისა და „ქართული ოცნების“ პროპაგანდისთვის საკვების მიცემა არის ყველაზე ცუდი სამსახური, რაც შეიძლება გაუწიო ახლა საქართველოს დემოკრატიულ მოძრაობასა და მრავალფეროვან საზოგადოებას, რომელიც იბრძვის რეჟიმის წინააღმდეგ, – წერს მელია.

## „გარდიანი“ საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებს ეხმაურება – „რუსეთმა რბილი ძალა დაკარგა“

„რუსეთმა რბილი ძალა დაკარგა“: როგორ ახდენს უკრაინაში მიმდინარე ომი ძველი საბჭოთა მოკავშირეების დესტაბილიზებას“ – ამ სათაურით ვრცელ სტატიას ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ ავრცელებს.

პუბლიკაციის ავტორ ენდრიუ როთის განცხადებით, გასულ კვირას საქართველოში გამართული საპროტესტო აქციები მხოლოდ უახლესი ნიშანია იმისა, თუ როგორ დააზიანა პუტინის საზარელმა შეჭრამ ურთიერთობები ყოფილ აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებთან.

– როგორც ჩანს, კანონი, რომელსაც ქართველი დემონსტრანტები ეწინააღმდეგებოდნენ, ადგილობრივი ინიციატივა იყო, რომელიც მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვისა და მომავალი არჩევნების მოგების საშუალებას მისცემდა, – აღნიშნავს „გარდიანის“ ჟურნალისტი.

როგორც ბრიტანული გამოცემა წერს, ერევნიდან კიშინიოვამდე და თბილისიდან ასტანამდე უკრაინაში შეჭრამ ზოგიერთ ქვეყანაში რუსეთის აგრესიის მიმართ შიში გააძლიერა და აიძულა სხვები, რომლებიც მოკავშირეებად ითვლებოდნენ, სულ მცირე, გადაესინჯათ მოსკოვის, როგორც სტაბილური პარტნიორის როლი.

– და ამან დააჩქარა ტრენდი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაბადებულ ახალგაზრდებში, რომ უფრო ხმამაღალი პოზიცია დაიკავონ რუსეთის გავლენის წინააღმდეგ რეგიონში, – აღნიშნავს „გარდიანი“.

„რუსეთმა დაკარგა რბილი ძალა“, – ციტირებს ბრიტანული გამოცემა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს კორნელი კაკაჩიას.

– მან (რუსეთმა) აღარ იცის, როგორ გამოიყენოს ეს (რბილი ძალა) საკუთარ მეზობლებთან. ისინი (რუსები), უბრალოდ, იყენებენ ამ სასტიკ ძალას, – განაცხადა კაკაჩიამ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ამერიკა მალე რუსეთს მოარჯულებს. კრემლს საცეცები საქართველოშიც მოეჭრება“

## მირიან მირიანაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად მკვდარია“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ქართულ ოცნებას“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, თუმცა მისი ლიდერები იხტიბარს არ იტეხენ და ხალხს შეაგონებენ, თითქოს კანონპროექტმა (რომელზეც უარის თქმა მოუწიათ) „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ“ თავისი საქმე შეასრულა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.**

***– მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აღნიშნავს, რომ კანონპროექტმა „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ“ თავისი მიზანი შეასრულა, ყველა დარწმუნდა, რომ აგენტობა სათაკილოა, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები არასახელმწიფოებრივად მოქმედებენ, რომ „ბაკურიანის გეგმა“ ჩავარდა. რას იტყვით?***

– კობახიძე რეალობას არის აცდენილი. რას ამბობს კობახიძე? კანონპროექტმა, რომელიც პირველი მოსმენით მიიღეს, შემდეგ კი გააუქმეს, მიზანი შეასრულაო? ესე იგი მიზანი კანონის მიღებაც არ ყოფილა? თუ ასეთი წარმატებულები არიან, რატომ გაიწვიეს კანონპროექტი? მისი ასეთი შეფასებები ძალიან უცნაური და აბსოლუტურად გაუგებარია. ჩემი აზრით, კობახიძეს იმის დამტკიცება უნდა, რომ უკან არ დაუხევიათ და მარცხი არ განუცდიათ. ის ხალხს ეუბნება, დამარცხებულები არა ვართო.

***– ბაკურიანის შეკრების წარამარა ხსენება რაზეა გათვლილი? ისევ ნაცმოძრაობის გამოყენებას ცდილობენ?***

– პირადად მე ბაკურიანში შვიდი წელია არ ვყოფილვარ. ამ შეკრებასთან არაფერი მაკავშირებს, მაგრამ, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ არანაირი „ბაკურიანის გეგმა“ არ არსებობს. „ოცნების“ წარმომადგენლების მტკიცებით, იქ ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. არ ვიცი, ვის მოტყუებას ცდილობენ ამ უაზრო გამონათქვამებით. რაც უნდა ბავშვივით მიამიტი და ყველაფერში ჩაუხედავი მომხრეები ჰყავდეთ, წიგნი მაინც ექნებათ წაკითხული და რამდენიმე ფილმი ნანახი. ვინ ირწმუნებს, რომ შეთქმულებები კონფერენციებზე იგეგმება?! იქ სწორედ კონფერენცია გაიმართა. ვერ გამიგია, რომელი სოციუმისთვის აკეთებენ ამ განცხადებებს. თან, ამას დასავლეთს უკავშირებენ. უცხოელი კერძო კონსულტანტის მოწვევა არ ნიშნავს დასავლეთის ჩართულობას. ეს ყველაფერი რუსეთის უშიშროების ისეთივე პროდუქტებია, როგორიც დალესისა და სოროსის ე.წ. წერილები. ნაცების სახელის აფიშირებაც სასაცილოა. ნამდვილი კომიქსის ჟანრია იმის თქმა, რომ ამერიკელები საქართველოში აწყობენ რევოლუციას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელით. ნაციონალური მოძრაობა აქტუალური არ არის. ამას ნათლად ვხედავთ. უამრავ ადამიანს ვხვდები. ნაცმოძრაობას კაციშვილი არ ახსენებს. აქამდე „ქართული ოცნება“ აცოცხლებდა ამ პარტიას. ნაცმოძრაობას პოლიტიკურ წონას „ქართული ოცნება“ მატებდა. ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად მკვდარია. ამიტომ, არ ვიცი, ვინ ჰგონიათ იდიოტი, როცა იგონებენ სისულელეებს, ვითომ ამერიკელები დაკავშირებული არიან ნაცმოძრაობასთან და ვითომ მისი ხელისუფლებაში მოყვანა უნდათ.

***– „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი ამბობს, რომ სააკაშვილის მომხრეები გამოიყენებენ აქტიური ახალგაზრდების ნაწილს იმისთვის, რომ რევოლუციური სცენარი არ ჩამოვიდეს დღის წესრიგიდან.***

– ეს იგივე ნარატივია. ეს არის პოლიტტექნოლოგიური სვლა. ნაცმოძრაობა ძალიან არაპოპულარულია და აქტუალური არაა. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, თბილისში გამართულმა ხალხმრავალმა აქციებმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად გარდაცვლილია. ხელისუფლებას უნდა უნდოდეს ვითარების დეესკალაცია. ასეთი სვლებით ეს შეუძლებელია.

***– ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ნაცმოძრაობის მთავარი მიზანი სააკაშვილის გათავისუფლებაა. მან ისიც ახსენა, რომ ამ საკითხში აშშ-ში დიდი მიღწევები აქვთ. ფაქტია, რომ ოფიციალურ ვაშინგტონს სააკაშვილის გათავისუფლება არასდროს მოუთხოვია. რა მიღწევებზე შეიძლება საუბრობდეს მერაბიშვილი?***

– ცნობილია, რომ ლობისტურ კომპანიას სააკაშვილის მომხრეებმა და ახლობლებმა მილიონი გადაუხადეს. დავინტერესდი, რაზე იხარჯება ეს ფული. დავადგინე, რომ ამერიკული ლობისტური კომპანია პირობას დებს (ეს კონტრაქტის ფარული ნაწილია), რომ აშშ-ის კონგრესის იურიდიულ კომისიას მიაღებინებს რეზოლუციას სააკაშვილის თაობაზე. იმის დაპირებაც იყო, რომ შემდგომში რეზოლუციას მიაღებინებენ კონგრესის ქვედა პალატას. რეზოლუციის პროექტი კომისიაში უკვე ინიცირებულია, თუმცა საქმე წინ არ მიდის, კომისიის თავმჯდომარე უარზეა. არა მგონია, ამ ლობისტურ კომპანიას ამ პირობის შესრულება შეეძლოს.



***– საინტერესოა, რას გულისხმობდა მერაბიშვილი?***

– მერაბიშვილი რომელ წინსვლაზე საუბრობს, არ ვიცი. ინიცირების გარდა, არაფერი მომხდარა. წინსვლა არ ჩანს. შეიძლება, მას დაპირების სჯერა.

***– დავუბრუნდეთ „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ კანონპროექტს. თქვენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა მის პარლამენტში შეტანასა და შემდგომში მიღებას?***

– დავიწყებ იმით, რომ ამ კანონპროექტის პარლამენტში წარდგენა და პირველი მოსმენით მიღება კატასტროფული აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის“. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ მცდარი წარმოდგენა ჰქონდა საზოგადოებაში არსებულ განწყობებზე.

***– „ოცნებას“ ეგონა, რომ ხალხი ანტიდასავლურად და ანტიდემოკრატიულადაა განწყობილი?***

– „ოცნებას“ ეგონა, რომ საზოგადოება მხარს უჭერს ბოლო თვეებში დატრიალებულ ანტიამერიკულ ქარბუქს. ანტიამერიკული კამპანია რომ მიმდინარეობდა, ყველამ იცის. მმართველმა პარტიამ არასწორად გათვალა და ჩათვალა, რომ ამ ანტიამერიკულ მოქმედებებს საზოგადოება ეთანხმება. ახლა მიზანს შევეხები. ამ კანონპროექტის წარდგენითა და მიღებით დაგეგმილი იყო „ხალხის ძალის“ ნამდვილ პოლიტიკურ ძალად გადაქცევა და გაძლიერება.

***– „ხალხის ძალას“ ამხელა მნიშვნელობა დაეკისრა?***

– დიახ. დაგეგმილი იყო ახალი პოლიტიკური ორპოლუსიანი მოდელის შექმნა. ერთ პოლუსზე იქნებოდა ცენტრისტული „ქართული ოცნება“, მეორეზე კი – ანტიამერიკული „ხალხის ძალა“. საბოლოოდ, ხელისუფლება ამ მოდელით გაიმყარებდა ძალაუფლებას.

***– „ხალხის ძალისთვისაც“ სავალალოდ დამთავრდა ეს თამაშები?***

– რასაკვირველია. „ხალხის ძალა“ საერთოდ განულდა. ისედაც არ ჰქონდა განსაკუთრებული მხარდაჭერა. „ხალხის ძალას“ მომზადებული ჰქონდა სხვა ანტიამერიკული პროექტებიც.

***– „ოცნება“ და მისი გარემოცვა თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ რელიგიის თემას. ისინი ანტიდასავლურ კამპანიაში რთავენ გაუცნობიერებელ მორწმუნე ადამიანებს და ალანძღვინებენ დასავლეთსა და დემოკრატიულ ღირებულებებს. ამას თქვენც ამჩნევთ?***

– რუსეთის სპეცსამსახურები აქამდეც უკეთებდნენ ორგანიზებას ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ კამპანიებს სოციალურ ქსელებში. რუსეთის აგენტურა ამისათვის არაინფორმირებულ ადამიანებსაც იყენებს. ამით ვერაფერს მიაღწევენ: საქართველოს საზოგადოებამ, მისმა ყველაზე ენერგიულმა და პროგრესულმა ნაწილმა ხელისუფლებას და სხვებსაც თავისი სათქმელი უთხრა. ეკლესიის სეგმენტშიც არიან ანტიამერიკულად განწყობილი პირები და ამ პროცესებმა, „ოცნებისა“ და მისი გარემოცვის გარდა, მათაც მიაყენეს დიდი ზიანი. საზოგადოებამ თავისი დამოკიდებულება მკაფიოდ გამოხატა. ანტიამერიკულმა ძალებმა პარტიებშიც და ეკლესიაშიც ნდობა და გავლენა დაკარგეს.

***– პოლიტიკურ სპექტრში სხვებიც არიან. აქციებზე შეკრებილებს არავის მიმართ არ გამოუხატავთ მხარდაჭერა. მათზე რის თქმა შეიძლება?***

– საქართველოში პოლიტიკური სპექტრი ხელოვნურადაა შექმნილი. დანარჩენი პარტიებიც, ისევე, როგორც ნაცმოძრაობა, სინამდვილეში, აქტუალურები არ არიან. ამ პარტიების მიმართ რომ ნდობის ნატამალიც არ არსებობს, ბოლოდროინდელ აქციებზე კარგად გამოჩნდა. რუსეთიდან პარტიების მართვის მექანიზმსა და ფსევდოდასავლურ ძალებზე თქვენთანაც მისაუბრია. ცოტაც და ყველაფერი შეიცვლება. უნდა დავიცადოთ მანამ, სანამ აშშ რუსეთს მოარჯულებს. როცა აშშ რუსეთს მოარჯულებს, რუსეთს საქართველოში საცეცები მოეჭრება. მაშინ შეიცვლება პოლიტიკური სიტუაციაც და პოლიტიკური სპექტრიც. ანტიამერიკული გეზისკენ საქართველოს გადახვევა არ გამოვა. ეს უკანასკნელმა მოვლენებმა დაადასტურა. საქართველოს საზოგადოება ანტირუსულია. რაც უნდა დაქოქონ რუსეთის სპეცსამსახურებმა ანტიდასავლური ძალები, რუსეთს ამაში ფიასკო ელის. ჩვენმა საზოგადოებამ თავისი პოზიცია დააფიქსირა. მისი გარდაქმნა არავის გამოუვა. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მოხდება ის ცვლილებები, რომლებზეც მოგახსენეთ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „იციან, რომ წარმოუდგენელია, არჩევნების გზით ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს“

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დესტრუქციულ ძალებს ჯერ კიდევ სურთ, საქართველო ომში ჩაებას და ამით ისინი ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

„მეორე ფრონტის“ თემა არათუ არ მოხსნილა, არამედ ჩვენ ამ ბოლო დღეების განმავლობაში კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ [illegible]არგი რაც მოხდა, მოხდა სრული ლუსტრაცია ამ ადამიანების. 300 არასამთავრობო იყო გაერთიანებული. ისინი იყვნენ ჩართული ამ აქციის ორგანიზებაში. ამას დაემატა „ნაცმოძრაობა“, „გირჩი“, ორგანიზაციები, რაც აქვთ შექმნილი და მათი ამოცანა იყო დესტაბილიზაციის გამოწვევა, გარკვეული პროვოკაციების მოწყობა, რასაც არ გამოვრიცხავ. ვიცით მათი გეგმების თაობაზე. საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, მთავარი მიზანია, როგორც თვითონ ამბობენ, უკრაინის დახმარება ომში. როგორ? – „მეორე ფრონტის“ გახსნით! საერთოდ ტერმინი „მეორე ფრონტი“ საიდან მომდინარეობს ახლა, ბევრს ჰგონია და ამას წინათ ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა მკითხეს, საიდან მომდინარეობს ტერმინიო. მათ ვუთხარი, რომ ეს მომდინარეობს უკრაინის ხელისუფლების მხრიდან, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსეი დანილოვის განცხადება გაიხსენა.

– ჩვენ მოვისმინეთ რამდენიმე თვის წინ უკრაინის მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირის, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, დანილოვის აღიარებითი ჩვენება. მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათი სურვილი იყო, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა. და დაამატა, რომ არა მხოლოდ ჩვენი ქალები და ბავშვები უნდა იხოცებოდნენ, არამედ ეს ომი უნდა გადასულიყო საქართველოში და მოლდოვაშიცო.



როცა ეს ყველაფერი გაქვს მოსმენილი, როცა ფაქტებით არის ყველაფერი გამყარებული – სააკაშვილის შემოგზავნა, მეომრების წაყვანა დემონსტრაციულად და ა.შ. და ამას შენ ნებით, თუ უნებლიეთ ეხმარები, ბუნებრივია ხარ ომის მომხრე. შემთხვევითი არ არის, რომ მათ (ნაციონალურ მოძრაობას) ომის პარტიას ვეძახით. ამ ადამიანებმა იციან, რომ არჩევნების გზით წარმოუდგენელია „ნაციონალური მოძრაობა“, ეს დესტრუქციული, მჩაგვრელი ძალა, დაბრუნდეს ხელისუფლებაში, ამიტომ მათი მთავარი, ერთგვარი ძალიან მცირე, მაგრამ თეორიული შანსი არის ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა, გადატრიალების მოწყობა რაღაც თემაზე, ამაზე („ხალხის ძალის“ კანონპროექტებზე), მაგალითად, და შემდეგ, რომ გაიმყარონ ხელისუფლება, რაღაც ისეთის წამოწყება, რაც მათ კონსოლიდაციის საშუალებას მისცემს. ასეთ ვითარებაში ძალაუფლების კონსოლიდაცია არის ომი. ომის დროს ნებისმიერ უკანონობას აკეთებს ხელისუფლება. არცერთი ტელევიზია არ იმუშავებს, ყველას წინააღმდეგ აწარმოებენ ანგარიშსწორებას და შემდეგ გამოვლენ და იტყვიან, რომ ეომებიან რუსეთს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# „ამერიკა ივანიშვილს ღიად დაემუქრა“

– კი, რა თქმა უნდა, აუცილებლად მივა. ოღონდ ხელისუფლება უნდა იყოლიო მუდმივ ზეწოლაში. ჩვენ წინ გვაქვს კანდიდატის სტატუსი.

***– ხომ არ დაჩქარდება სტატუსის მონიჭება ამ მოვლენების ფონზე?***

– თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ წლის ბოლოს კანდიდატის სტატუსს მივიღებთ, ისე ვითარდება პროცესები. აგერ მაკრონმა ქართულად დაიწყო წერა, ისეთი ამბავია და ეს ჩვენი ქართველი ქალი, დროშით, რომელიც ლამის ამ ბრძოლის სიმბოლო გახდა, მთელი ევროპა და მთელი მსოფლიო მოიარა ამ ფოტოებმა და ამ კადრებმა. ამ ესთეტიკასა და თეატრალურ სანახაობებში მიტინგებსა და აქციებზე, ჩვენ რომ გვეხერხება, შეგვეჯიბროს ბარემ ორი. მაგაში ძალიან მაგრები ვართ. ისეთი კადრები და ფოტოებია, რომ ყველას აღაფრთოვანებს.

***– ხელისუფლების მომხრეებისგან აქა-იქ უკვე გაისმა მოწოდებები, რომ ეს ქალი თურმე საჯარო მოხელე ყოფილა, მერიაში უმუშავია და ასე შემდეგ. ამ კუთხით ადამიანების შევიწროება ხომ არ წავა?***

– მერე რა, რომ მერიაში უმუშავია. ძალიან კარგი! ბევრი უნდა გვყავდეს ასეთი საჯარო მოხელე. საჯარო მოხელე იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პოზიცია არა აქვს ადამიანს. რა, მაინცდამაინც ხელისუფლების მომხრე უნდა იყოს?! რას ლაპარაკობთ, რა პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორება. მაგ ქალს რომ ხელი დააკარონ და სამსახურიდან გამოუშვან, მეორე რევოლუცია მაგის გამო მოხდება. ეს აბსოლუტურად გამორიცხულია დღევანდელ სიტუაციაში. წესით, მაგდენი ჭკუა ეყოფათ.

***– თქვენ პროგნოზირებთ, რომ მივალთ 2024-მდე?***

– კი, მივალთ. რა თქმა უნდა, ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი ასე მარტივად არ დანებდებიან, მაინც ეცდებიან, რამე იჩალიჩონ.

***– რას შემოგვთავაზებენ?***

– არ ვიცი, რას შემოგვთავაზებენ. ბიძინას რის შანსი აქვს? ორი შანსი აქვს სულ, ერთი, უკრაინაში მოიგოს რუსეთმა, რაც, ჩავთვალოთ, რომ გამორიცხულია. ამიტომ ეს შანსი არა აქვს რეალურად. ერთადერთი, რა შანსიც რჩება, არის ის, რომ ოპოზიციური სპექტრი ძალიან სუსტია. ეს ახალგაზრდები კი გადასარევები არიან. ბოლო 5 წელია, სულ მათთან მაქვს საქმე, ზუსტად ვიცოდი, რომ პრორუსული ინტერესების გატარება ამ თაობაში შეუძლებელი იქნება. არ მქონდა შიში, რომ ამ ახალგაზრდებს დააბოლებდნენ. ფასეულობები, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება, მაგრამ პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერობისთვის ასაკობრივად მზად არ არიან. ახლა 2024-სთვის მათი პოლიტიკაში შემოყვანა ვერ მოხერხდება.

***– ანუ, რა მოცემულობაც გვაქვს, იქიდან უნდა ავირჩიოთ?***

– დიახ, რაც გვაქვს, აქედან უნდა მოხდეს რაღაცა. ჯერჯერობით გვაქვს ძალიან სუსტი სპექტრი. ბიძინა შეეცდება, ეს სპექტრი არ გაძლიერდეს, კიდევ უფრო დააქუცმაცოს, კიდევ უფრო გადაჰკიდოს ერთმანეთს. ეს კი ეხერხება, ამის დიდოსტატია. მოხდეს ისე, რომ დასავლეთი რომ გადმოხედავს სიტუაციას, აფიქრებინოს, ხომ არ ჯობია, ისევ ბიძინასთან დავიჭირო საქმეო. აი, ამას ეცდება ივანიშვილი.

***– რამდენად გამოუვა, უკვე მეორე საკითხია.***

– ეს უკვე ყველა ჩვენგანზეა დამოკიდებული, საზოგადოებაზე, ოპოზიციურ პარტიებზე, რამდენად მიხვდებიან, რომ დროა გადაჯგუფდნენ, გადმოჯგუფდნენ და გაძლიერდნენ. ამ ხელისუფლების მეოთხე ვადით მოსვლა სრული კატასტროფა იქნება. უნდა, არ უნდა, მოახერხოს ოპოზიციურმა სპექტრმა და ცოტა თავი გამოიჩინოს. ახლანდელი მოცემულობა არავის არ უნდა, არავის არ მოსწონს. მე, მაგალითად. არ მყავს პარტია, რომელსაც ხმას მივცემდი. ხალხს მკაფიო ორიენტირი სჭირდება.

# „ვანო მერაბიშვილის მატარებელმა „უცნობის“ მატარებელთან ერთად ჩაიარა“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ეს ხელისუფლება ევროკავშირის სტატუსის მიღებას ჩააგდებს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ლაშა, რით ხსნით ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ განცხადებებს, რომელიც ამბობს, რომ ის არ არის პოლიტიკურად აქტიური, თუმცა, მზად არის, მასობრივ საპროტესტო გამოსვლებზე ისაუბროს ხელისუფლების შესაცვლელად?***

– ვანო მერაბიშვილის მატარებელმა „უცნობის“ მატარებელთან ერთად ჩაიარა. თუ ვანო მერაბიშვილი ცდილობს, რაღაცნაირად თავი დაუკავშიროს დღევანდელ ოპოზიციურ მოძრაობას, საერთო სახალხო მოძრაობას და ამით შეეცადოს საკუთარი წარსულის „გათეთრებას“, ეს, უბრალოდ, ფუჭი მცდელობაა. მასობრივი სკლეროზი ამ ქვეყანაში არ დაგვმართნია. ამიტომ, ძალიან ნუ ეცდება, არაფერი აქედან არ გამოვა. ერთადერთი, ვისაც ამით ხელს შეუწყობს, ბიძინა ივანიშვილია.

***– ოპოზიციის ლიდერებმა თქვეს, რომ ეს „ოცნების“ წისქვილზე წყლის დასხმაა.***

– დიახ, რა თქმა უნდა, მისი ეს განცხადებები სწორედ ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე წყლის დასხმაა. მერაბიშვილს იმდენად მძიმე პოლიტიკური წარსული აქვს, რომ არაფერი არ გამოუვა.

თუ წინა ხელისუფლება პროდასავლური კურსის ქვეშ არღვევდა ადამიანის უფლებებს და, უბრალოდ, სასიკვდილოდ იმეტებდა ადამიანებს, დღევანდელი ხელისუფლება ღიად პრორუსული კურსის ქვეშ არღვევს ჩვენს უფლებებს, ქართველი ხალხის დასავლურ არჩევანს. ამდენად, ეს ორი ხელისუფლება ერთმანეთისგან უკვე არ დიდად განსხვავდება. ორივე არის ამ ქვეყნის წარსული. ერთიც წარსულია და მეორეც წარსულია. მეორის შემთხვევაში მხოლოდ ძალიან მცირე დროის ამბავია. ორივე ხელისუფლება არის და იყო მოძალადე ხელისუფლება.



ის თაობა, რომელიც მარტის აქციებზე იდგა, ცხადად ხედავს ამ ქვეყნის მომავალს. ამ ახალგაზრდებს ეს მომავალი უკვე განსაზღვრული აქვთ. ამიტომ ივანიშვილს არაფერი არ გამოუვა და ამას უნდა შეეგუოს.

***– მერაბიშვილს რომ დავუბრუნდეთ, როგორ ფიქრობთ, მისი განცხადებები შიდაპარტიული აქტივობისკენ არის მიმართული თუ მიზნები უფრო შორსმიმავალია?***

### „7-8-9 მარტის აქციების მუხტს თავისუფლად შეეძლო, ვადამდელი არჩევნები მოეტანა“

– რთული სათქმელია, ნამდვილად ვერ გეტყვით, რას ცდილობს მერაბიშვილი, არ ვიცი, ვის თამაშს თამაშობს, მაგრამ ერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, არის ის, რომ ვანო მერაბიშვილი ბიძინა ივანიშვილთან ერთად ამ ქვეყნის ღრმა წარსულია. თუ მხოლოდ იმას ცდილობს, რომ როგორმე საკუთარი თავის რეაბილიტირება მოახდინოს, მერწმუნეთ, ეს შეუძლებელია. ამ ქვეყანაში ხალხს მართლა სკლეროზი არ დამართნია. ასევე, ფაქტია ისიც, რომ ამ განცხადებებით მოქმედ რეჟიმის უწყობს ხელს, ივანიშვილის პოზიციებს ამაგრებს. ეს უნებლიეთ ხდება თუ მიზანმიმართულად, ცხადია, ამის გადაჭრით თქმა გამიჭირდება.

***– ფიქრობთ, ხელისუფლებამ ამ კანონპროექტზე საბოლოოდ თქვა უარი?***

– არა, ასე ნამდვილად არ ვფიქრობ, თუმცა, ასეც რომ იყოს, რა, სხვა არანაკლებ რუსული კანონები და რუსული საქმეები აქვს ნაკეთები ამ ხელისუფლებას?! თავიდან ბოლომდე რუსული არ არის?! მხოლოდ ამ კანონპროექტით შემოიფარგლებიან თუ რა?! ის 12-პუნქტიანი გეგმიდან, რომელიც ევროკავშირმა მოგვცა წინაპირობად, რომელი პუნქტი შეასრულეს, რომ ქვეყანამ მიიღოს სტატუსი?! რა თქმა უნდა – არცერთი. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილის მიზანი არ არის ევროკავშირის სტატუსი. ეს ხელისუფლება ევროკავშირის სტატუსის მიღებას ჩააგდებს.

***– და ამას ხომ ზუსტად იგივე რეაქცია მოჰყვება, რაც ცოტა ხნის წინ რუსთაველზე ხდებოდა?***

– დიახ, გასაგებია, მაგრამ ეს არ დააბრკოლებს „ოცნებას“, რომ ღიად თქვას უარი სტატუსზე. მე ამიტომ მიმაჩნია არასწორად აქციების, პროტესტის შეწყვეტა. მეტიც, სწორედ ახლა იყო დრო, რომ საპარლამენტო ოპოზიციას უარი ეთქვა მანდატებზე, პარლამენტი უნდა დაეტოვებინა და ქუჩაში გასულიყო, მაგრამ ისევ არა. ისევ ილუზიები, რომ თითქოს რაღაცას აკეთებენ 12 პუნქტის შესასრულებლად, რაც უკვე არავის არ სჯერა. რბილად რომ ვთქვა, ეს საკუთარი თავის მოტყუებაა ან, უარეს შემთხვევაში – საზოგადოების მოტყუება.

საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან მასობრივი საპროტესტო აქციების გაგრძელებასა და ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის დაყენებაზე უარის თქმა დანაშაულის ტოლფასი შეცდომაა. 7-8-9 მარტის აქციების მუხტს თავისუფლად შეეძლო, ვადამდელი არჩევნები მოეტანა, თავისუფალი რიგგარეშე არჩევნები, რომელიც ამ ქვეყანაში ერთპარტიულ ავტოკრატიას დაასრულებდა.

# მეუფე შიო: „ჩვენში სასუფეველი რომ დამკვიდრდეს, ამისთვის უნდა შევისმინოთ, დავუჯეროთ ჩვენს ეკლესიას, როგორც ჩვენს მშობელ დედას“

– რომ დამკვიდრდეს სასუფეველი ჩვენში, ამისთვის უნდა შევისმინოთ, დავუჯეროთ ჩვენს ეკლესიას, როგორც ჩვენს მშობელ დედას, რომელიც აუცილებლად წარგვიძღვება და მიგვიყვანს დიდ სიხარულამდე და ბედნიერებამდე, – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) დიდი მარხვის მეორე კვირის ქადაგებისას აღნიშნა.

როგორც მეუფე შიომ განაცხადა, დიდი მარხვის დროს, უმეტესად ვფიქრობთ ჩვენს ცოდვებზე, ჩვენს დაცემულობაზე, რამაც შეიძლება ძალიან დაგვამწუხროს.

– ქრისტეს მიერ საყვარელნო მამებო, ძმებო და დებო, გილოცავთ დიდი მარხვის მეორე კვირას, რომელსაც ეწოდება წმინდა გრიგოლ პალამას კვირა.

წმინდა ეკლესია განსაკუთრებით აღნიშნავს ამ დიდი წმინდანის ხსენებას, იმდენად მნიშვნელოვანია ის, რასაც იგი გვასწავლიდა ჩვენ.

წმინდა გრიგოლ პალამამდე ეკლესიაში იყო სწავლება იმის შესახებ, რომ ღმერთი მიუწვდომელია თავისი არსით, ამოუცნობია. მაგრამ, ამავე დროს, იგი მოქმედებს ამ სამყაროში, ურთიერთობს ადამიანთან და აი, ამ მოქმედებით მისი შეცნობა შეიძლება. ვიმეორებ, არსით შეუძლებელია მისი ჩაწვდომა, მაგრამ მოქმედებით, რომელსაც ეწოდება ენერგია, ასევე, რომელსაც წმინდა ეკლესია სულიწმიდის მადლს უწოდებს, ამ მადლის მოქმედების მეშვეობით შესაძლებელია.

მაგრამ იმჟამად ჯერ არ იყო საჭიროება, რომ მკაფიოდ გამოთქმულიყო სწავლება იმის შესახებ, თუ რა ბუნების არის ეს მადლი, ენერგია. და აი, წმინდა გრიგოლ პალამას დროს იყო დიდი კამათი ამაზე. გრიგოლ პალამამ გამოთქვა მოძღვრება, რომელიც ეფუძნება ეკლესიის მამების სწავლებას, მან კი ჩამოაყალიბა ეს და შემდეგ დადგინდა, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება, ყველასთვის სავალდებულო, რომ ეს მადლი და ენერგია ღვთისა არის უქმნელი, არის თავად ღმერთის მოქმედება.

გრიგოლ პალამას მოწინააღმდეგეები ამბობდნენ, რომ ეს რაღაც შექმნილი რამ იყო, როგორც ატმოსფერული მოვლენა, მაგალითად, თოვლი, წვიმა, და ა.შ. წმინდა გრიგოლმა კი ეს მოძღვრება გამოთქვა და მასთან ერთად მთელმა ეკლესიამ, რომ მოქმედება ღვთისა არის მოქმედება, ენერგია ღვთისა, არის უქმნელი. ეს არის თვით ღმერთის მოქმედება. ადამიანი შექმნილია იმისთვის, რომ მიიღოს ეს ენერგია, ეს მადლი ღვთისა, ფერი იცვალოს ამით, როგორც იცვალა ფერი უფალმა იესო ქრისტემ თაბორის მთაზე და განიღმრთოს. აი, ეს არის განღმრთობა.

აი, ეს საოცარი სწავლებაა. თუ გახსოვთ, პეტრე მოციქული როგორ ამბობს ამ საკითხის შესახებ, რომ: „უფალი იესო ქრისტეს საღვთო ძალამ ყველაფერი მოგვცა იმისთვის, რათა ღმერთის ბუნების თანაზიარნი გავხდეთ“, პალამას მოწინააღმდეგენი კი როცა ამბობდნენ, რომ ეს არის შექმნილი რეალობა, ქმნილება, ამით ამბობდნენ, რომ ჩვენსა და ღმერთს შორის არის რაღაც გადაულახავი უფსკრული, ან შუალედური რგოლი, რომლითაც უფალი ურთიერთობს ჩვენთან. ე.ი. არა უშუალოდ ურთიერთობს ჩვენთან და გვეხება, არამედ რაღაც შექმნილი საგნისა თუ რეალობის მეშვეობით.



წმინდა გრიგოლმა კი გამოთქვა, რომ უფალი თავად გვეხება ჩვენ, თავად შემოდის ჩვენს სულში მისი ენერგიის, მისი მოქმედების მეშვეობით.

და აი, დიდი მარხვის დროს, როცა ჩვენ უმეტესად ვფიქრობთ ჩვენს ცოდვებზე, ჩვენს დაცემულობაზე, რამაც შეიძლება ძალიან დაგვამწუხროს, წმინდა ეკლესია გვახსენებს, რამდენად დიადია ჩვენი მოწოდება და დანიშნულება და როგორ არის ჩაფიქრებული ადამიანი ღვთის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი სიხარული. რა არის ეს უდიდესი სიხარული? – ის, რომ ადამიანი შეიძლება გახდეს ღმერთშემოსილი, არა სიმბოლურად, არა გადატანითი მნიშვნელობით, არამედ ჭეშმარიტად და ნამდვილად გახდეს ღმერთშემოსილი, იმიტომ, რომ გახდეს თანაზიარი საღვთო ბუნებისა.

გილოცავთ ამ დღეს, ძვირფასო ძმებო და დებო, გილოცავთ ამ საოცრებას, რაც მოიტანა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რასაც გვმოძღვრავს ჩვენ წმინდა ეკლესია, და ინებოს უფალმა, ჩვენი ცხოვრება წარვმართოთ ისე, რომ განხორციელდეს ჩვენში ეს დიდი მოწოდება, ეს თანაზიარება ღვთისადმი. როგორ უნდა განხორციელდეს ეს ადამიანში? – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევისმენთ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას, იმიტომ რომ არცერთ სხვა სარწმუნოებასა და ეკლესიაში მსგავსი სწავლება არ არის ღმერთისა და ადამიანის, ღვთის მადლის შესახებ. და ეს თანაზიარება ღვთისა არის სწორედ ის, რაზეც საუბრობს უფალი იესო ქრისტე, რომ „სასუფეველი ღვთისა თქვენშია“.

რომ დამკვიდრდეს სასუფეველი ჩვენში, ამისთვის უნდა შევისმინოთ, დავუჯეროთ ჩვენს ეკლესიას, როგორც ჩვენს მშობელ დედას, რომელიც აუცილებლად წარგვიძღვება ჩვენ და მიგვიყვანს ამ დიდ სიხარულამდე და ბედნიერებამდე, რაც გამოთქვა წმინდა გრიგოლ პალამამ, რომ „ჩვენ ვართ თანაზიარნი საღვთო ბუნებისა“, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომელსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, უკუნისამდე, ამინ! – აღნიშნა მეუფე შიომ.

# პრემიერი: „ცდილობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოიტანონ დესტაბილიზაცია და ომი. ვიქნებით უკომპრომისო“

– ცდილობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოიტანონ დესტაბილიზაცია და ომი, ვიქნებით უკომპრომისო, ჩვენს ხელთ არსებულ ყველა კანონიერ საშუალებას გამოვიყენებთ, რომ არცერთი ასეთი ადამიანის ქმედება არ დარჩეს პასუხგაუცემელი, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „იმედის“ კვირის ეთერში განაცხადა.

– შეხედეთ, უკრაინაში რა ხდება, უკვე 20% არის ოკუპირებული, ამბობენ რომ 800 მილიარდიდან 1 ტრილიონ დოლარამდე უკრაინას მიყენებული აქვს ზარალი, უკრაინის მშპ რამდენია – 200 მილიარდი იყო, მინიმუმ 800 მილიარდი უკვე ზარალია. ამ ქვეყანას რა დააყენებს ფეხზე? უკრაინის 20 მილიონი მოქალაქე არის მიგრაციაში. ტრაგედია, საშინელება ხდება უკრაინაში. ეს ადამიანები, ვინც ეს ყველაფერი იცის, ცდილობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში, ამ დალაგებულ დაწყნარებულ ქვეყანაში შემოიტანონ დესტაბილიზაცია და ომი, ვიქნებით უკომპრომისო, ჩვენს ხელთ არსებულ ყველა კანონიერ საშუალებას გამოვიყენებთ, რომ არცერთი ასეთი ადამიანის ქმედება არ დარჩეს პასუხგაუცემელი. ნუ გახდებით მანიპულირების ობიექტი და პოლიტიკური პარტიების ხელში ბრძოლის ინსტრუმენტი, – აღნიშნა პრემიერმა.



# ირაკლი ღარიბაშვილი: „60-მდე პოლიციელია დაშავებული. ამას ვის ვაპატიებთ? ყველა ეს ადამიანი უმკაცრესად დაისჯება“

– საიდან გაჩნდა „მოლოტოვის კოქტეილები“ „მშვიდობიან აქციაზე“? მინდა მივმართო ჩვენს საზოგადოებას – როგორი საზოგადოების, როგორი ქვეყნის მშენებლობა გვინდა? – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 8-9 მარტს განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას „იმედის კვირის“ ეთერში განაცხადა.

– ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა, ნამდვილად ევროპული საზოგადოება ავაშენოთ, გვინდა, იყოს მშვიდობა, სტაბილურობა, გვინდა, ჩვენი ქვეყანა გავაძლიეროთ, გავაერთიანოთ, ეკონომიკა ფეხზე დავაყენოთ. ვინ ბედავს, როგორ ბედავენ, რომ ამ ახალგაზრდებს იყენებენ ფარად, წინა ხაზზე უშვებენ, ისვრიან „მოლოტოვის კოქტეილებს“. 60-მდე პოლიციელია დაშავებული, ლამის ცოცხლად დაიწვა რამდენიმე პოლიციელი, ჩვენ ამას ვის ვაპატიებთ?! ყველა ეს ადამიანი იქნება უმკაცრესად დასჯილი! – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასამართლომ ბადრი ესებუას საქმეზე ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ახალი მტკიცებულება დასაშვებად ცნო

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებაში ბრალდებულ ბადრი ესებუას პროცესი გრძელდება.

პროცესზე ბრალდების მხარემ სასამართლოს წინაშე ახალი მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა, კერძოდ, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარე არ დაეთანხმა.

ადვოკატ იოსებ ჯანაშიას განცხადებით, დაცვის მხარეს ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცესში მათი წარმომადგენლის მონაწილეობის უფლება არ მიეცა. დაცვის მხარეს აქვს ეჭვი, რომ ექსპერტიზა არაობიექტურად ჩატარდა.

– ბრალდების მხარეს აქვს წარმოდგენილი ახლად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებით შუამდგომლობა. სასამართლოს ნებართვით ბრალდების მხარის მიერ აღებულია სუნის ნიმუშები, რის საფუძველზეც შემდეგ დაინიშნა ოდოროლოგიური ექსპერტიზა. შესაბამისი დადგენილება სასამართლოში დასაშვებ მტკიცებულებად უკვე წარმოდგენილია, ასევე დასაშვებად იქნა ცნობილი მიმართვის წერილი, რომლითაც ოდოროლოგიურ ექსპერტიზაზე გადაიგზავნა დადგენილება შესაბამისი ნივთმტკიცებულებებთან ერთად. კერძოდ, ეს გახლდათ ბადრი ესებუასგან აღებული სუნის ნიმუში, ასევე საკვლევი ნიმუშები, რომელიც სხვადასხვა ობიექტებიდან იქნა აღებული. ეს საკვლევი ნიმუშები გადაიგზავნა ექსპერტიზაზე და მიმდინარე წლის 9 მარტს გაცემულია შესაბამისი დასკვნა, ეს გახლავთ ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გადმოიგზავნა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში მომართვის წერილთან ერთად.



მიაჩნია, რომ ეს მტკიცებულება თავის დასაშვებობით სრულიად შეესაბამება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც, დასაშვებია ისეთი ახალი მტკიცებულებები, რომელთა მანამდე მოპოვება და წარდგენა მხარეს, ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, არ შეეძლო. მოგმართავთ შუამდგომლობით, რომ დასაშვებად ცნოთ ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა მომართვის წერილთან ერთად. მას შემდეგ, რაც დასაშვებად იქნება ცნობილი აღნიშნული მტკიცებულება, მოწმედ დაიკითხოს ექსპერტი გიორგი ტაბატაძე, – განაცხადა პროკურორმა მირანდა წერეთელმა.




სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, შესაბამისად, მათ მიერ მოპოვებული ახალი მტკიცებულება დასაშვებად ცნო. ასევე, დაკმაყოფილდა მეორე შუამდგომლობა ექსპერტის გამოკითხვის შესახებ.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# „მომაქციეს წრეში, ექვსი კაცი მეჯიკავებოდა და მტენიდა მანქანაში“ – აქციაზე დაკავებულ ყოფილ სამხედროს 3 ათასი ლარის გირაო შეუფარდეს

„არა რუსულ კანონს“ აქციაზე დაკავებული ყოფილი ჯარისკაცი თორნიკე აკოფაშვილი სასამართლომ 3.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

აკოფაშვილი ერთადერთია იმ დაკავებულთაგან, რომელსაც გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევას ედავება. მას პოლიციელზე თავდასხმას და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ედავებიან.



ადვოკატების ინფორმაციით, პროკურატურა 5.000-ლარიან გირაოს ითხოვდა, თუმცა დაცვის მხარის შუამდგომლობის შედეგად, მოსამართლემ თანხა 3.000 ლარამდე შეამცირა.

აკოფაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს და ამბობს, რომ ის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა ძალადობრივი მეთოდებით დააკავეს.

– პატივცემული პროკურორი მედავება, არადა, მე რეალურად ვიყავი ჩემს ახალგაზრდებთან ერთად. შემდეგ უნდა დავხვედრილიყავი ჩემს ერთ-ერთ მეგობარს. სპორტულებში გამოწყობილი იყვნენ, ზოგს წვერიც კი ჰქონდა, სამართალდამცველს. მე ვერც მივხვდი ვინ იყვნენ, მომაქციეს წრეში და ისიც ვერ მივხვდი, იმას ვეუბნებოდი ვინ ხართ, ექვსი კაცი მეჯიკავებოდა და მტენიდა მანქანაში. ჩემს თავს არ ვთვლი დამნაშავედ, იმიტომ რომ ჩვენ ახალგაზრდები ვაპროტესტებდით რუსულ კანონს, – ამბობს აკოფაშვილი.

თორნიკე აკოფაშვილი პატიმრობაში ორი დღის განმავლობაში იყო. მომდევნო სასამართლო სხდომა მაისში გაიმართება.

# არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტთან აქციებზე დაკავებულ პირებთან დაკავშირებით შსს-ს, პროკურატურასა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართავენ

არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტთან აქციებზე დაკავებულ პირებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ამ დრომდე მიმდინარეობს, შსს-ს, პროკურატურას და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართავენ.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აქციის მიმდინარეობისას ადმინისტრაციული წესით დაკავებული ყველა პირი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან გათავისუფლდა. ადმინისტრაციული დაკავებიდან მათი გათავისუფლება არ გულისხმობს სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, დაკავებიდან გათავისუფლების მიუხედავად, მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ამ დრომდე მიმდინარეობს.

2023 წლის 2-3 მარტსა და 7-9 მარტს გამართულ საპროტესტო აქციებზე პოლიციამ ადმინისტრაციული წესით, ჯამში, 169 პირი დააკავა.

მოვუწოდებთ:

შინაგან საქმეთა სამინისტროს – აქციის მიმდინარეობისას დაკავებული ყველა პირის მიმართ, რომელთა საქმეებიც ამ დრომდე სასამართლოს არ განუხილავს, შეწყვიტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება;

პროკურატურას – გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროკურორის პროტესტით მიმართვის შესაძლებლობა, რათა გაუქმდეს სასამართლოს მიერ დაჯარიმების შესახებ მიღებული დადგენილებები;

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს – უზრუნველყოს სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების, თვითნებური დაკავებების, დაკავებულთა მიმართ ძალადობისა და სხვა შემთხვევების სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“

„Women's Initiatives Supporting Group“

„სამართლიანი არჩევნები“

„Rights Georgia / უფლებები საქართველო“

„ღია საზოგადოების ფონდი I Open Society Georgia Foundation“

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“

# მარტვილში შვილმა მოხუცი დედა პენსიის გამო ნაჯახით მოკლა

მარტვილში, სოფელ მუხუჩაში, 86 წლის ქალი საკუთარმა შვილმა მოკლა.

პენსიონერს ნაჯახით მიყენებული ჭრილობები აღენიშნება. ერთ-ერთი ვერსიით, კაცმა დედა სასიკვდილოდ ფულის გამო გაიმეტა. დედამ 54 წლის შვილს პენსია არ მისცა, რაც კონფლიქტისა და ფატიკი ანგარიშსწორების მიზეზი გახდა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ბრალდებული უკვე დაკავებულია.




# ბათუმში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

ბათუმში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 30 წლამდე მამაკაცი მოკლეს. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ინციდენტი ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთ კაფე-ბართან მოხდა.

30 წლამდე მამაკაცი კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ფაქტზე ერთი პირია დაკავებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# 7 მარტს აქციაზე დაშავებულ ზაზა ბილიაშვილს უთხრეს, რომ მხედველობას ვერ აღუდგენენ

ექიმ ლევან მეტრეველის განცხადებით, 7 მარტს აქციაზე დაშავებულ ზაზა ბილიაშვილს უთხრეს, რომ მისი თვალის დაზიანების სიმძიმიდან გამომდინარე, მხედველობას ვერ აღუდგენენ.



როგორც ექიმმა ჟურნალისტებთან აღნიშნა, დაშავებული კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსში“ იმყოფებოდა, სადაც მას ჭრილობები დაუმუშავეს და მედიკამენტები დაუნიშნეს.

– 7 მარტს აქციაზე დაშავდა ადამიანი, რომელსაც თვალის დაზიანება და სახის არეში ჭრილობები აქვს. ამ ადამიანს, ზაზა ბილიაშვილს, მივაგენით, რუსთავის გზატკეცილზე ცხოვრობს და „თბილსერვის ჯგუფის“ მძღოლია.

როგორც თვითონ ჰყვება, აქციაზე მას სპეცდანიშნულების რაზმმა წყლის ჭავლით შეუტია. წყლის ძალამ ის შემოატრიალა, რა დროსაც სპეცრაზმის მხრიდან გასროლის ხმა გაიგონა და რაღაც მოხვდა თვალში. ეს ადამიანი სახლში მოვინახულე და გავსინჯე. ის უკვე იმყოფებოდა კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსში“, სადაც თვალის ჭრილობა დაუმუშავეს, ასევე, ცხვირისა და შუბლის მიდამოებში ორი ჭრილობა გაუკერეს და დაუნიშნეს მედიკამენტები. მას უთხრეს, რომ მისი თვალის დაზიანების სიმძიმის გამო მხედველობას ვერ აღუდგენენ, – განაცხადა ექიმმა ლევან მეტრეველმა.

## განცხადებები

• ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: ალმაშენებლის 154.

• ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154.

• მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის 154.

• სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# პროვოკაცია დნესტრისპირეთში




რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგებმა 156.000-ს გადააჭარბა. ასეთ სიტუაციაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოლდოვას, რომელიც უკრაინის მეზობელია.

– უკვე დროა, რომ ფრონტზე მოლდოვური ნაწილებიც ვიხილოთ, მაგრამ აქ არის ერთი პრობლემა: მოლდოვის სათავეში პროდასავლელი პრეზიდენტი მაია სანდუ დგას, – აცხადებს ოდიოზური რუსი პროპაგანდისტი მარგარიტა სიმონიანი.

თავის ტელეინტერვიუში ღრმად პატივცემულმა მარგარიტამ განაცხადა, მოლდოვის მოსახლეობა პოლარიზებულია; 42% მხარს ევროკავშირში შესვლას უჭერს, 40% კი ევრაზიულ კავშირს ემხრობა. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია პრორუსული გადატრიალების მოწყობა. მისი წარმატებით დასაგვირგვინებლად კი აუცილებელია კიშინიოვში რუსული დესანტის გადასხმა, სხვანაირად სამოქალაქო ომს ვერ ავცდებითო.

აღსანიშნავია, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ რუსეთთან მიმართებით კომპრომისების გზა აირჩია. ეს მაია სანდუს პროდასავლურ მთავრობასაც შეეხება. სანდუმ უარი თქვა ნატოში შესვლაზე და მოლდოვის ნეიტრალურ სტატუსს დაუჭირა მხარი. ეს კონსტიტუციითაა დაფიქსირებული. პარალელურად უარი ითქვა დნესტრისპირეთის ოკუპირებულ ზონად გამოცხადებაზეც. არ შეიქმნა მოლდოვის ეროვნული არმია. ის მცირერიცხოვანია და მხოლოდ 15.000 მეომარს ითვლის. „დნესტრისპირეთის არმია" კი 30.000-ია. დავუმატოთ ამას დნესტრისპირეთში მყოფი რუსეთის მე-14 არმია და ვითარების მთელი ტრაგიზმი ცხადი გახდება.

მსგავსი პროვოკაცია გახლდათ თავდასხმა „დნესტრისპირეთის პრეზიდენტ" კრასნოპოლსკიზე. რუსებმა იქვე დააპატიმრეს ამ თავდასხმის მონაწილენი. დაკითხვაზე მათ განაცხადეს, რომ უკრაინის უშიშროების სამსახურიდან არიან. შემდეგ რტრ-ის ეთერში შემდეგი სიუჟეტი გადაიცა:

– მოლდოვის ხელისუფლება სუსტია! შესაბამისად, მის ტერიტორიაზე უკრაინის უშიშროების მიერ გაწვრთნილი პრვოკატორები მოქმედებენ. მოლდოვის მოსახლეობა შეშინებულია და მთავარ იმედს ქვეყანაში რუსი მედესანტეების გამოჩენაზე ამყარებს!

უკრაინის უშიშროების სამსახურმა (სბუ) მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ დნესტრისპირეთში მომხდარი ე.წ. ტერაქტი სხვა არაფერია, თუ არა რუსული ფსბ-ს მიერ მოწყობილი პროვოკაცია და სბუ-ს ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

რაც უფრო ჭიანურდება რუსეთ-უკრაინის ომი, მით უფრო მცირდება რუსული არმიის შეტევითი პოტენციალი. მოსკოვიც აძლიერებს ზეწოლას მეზობლებზე, რათა ანტიუკრაინულ აქციებში ჩაერთონ. ახლო მომავალში რუსული პროვოკაციები გაიზრდება.

# რა პროვოკაციებს ამზადებს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ საქართველო სამოქალაქო ომის ზღვარზეა.

– ქართული ოპოზიცია ლამობს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ძალადობრივი მეთოდებით! ამ საქმეში მას უკრაინელი ნაციონალისტები ეხმარებიან, – ამტკიცებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ლავროვის სიტყვებით, 600 კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი უკრაინელი ნაციონალისტი თურმე უკვე საქართველოშია. მალე მათი რაოდენობა გაიზრდება. მეტიც, უკრაინელებს თურმე ის ქართველებიც შეუერთდებიან, რომლებიც დღეს უკრაინაში იბრძვიან.

უკრაინელი ექსპერტის ოლეგ ჟდანოვის აზრით, რუსეთი საქართველოში მორიგ პროვოკაციას გეგმავს, ძალისმიერ გადატრიალებას, თანაც ისე, რომ ყველაფერზე პასუხისმგებლობა მითიურ ბანდერელებს უნდა დაეკისროთ.

# ბრძოლები ბახმუტთან

ბახმუტთან გააფთრებული ბრძოლებია. რუსი ოკუპანტები ცდილობენ, ქალაქს ალყა შემოარტყან, მაგრამ ეს ცდა წარუმატებელია. ბახმუტი არ არის ალყაშემორტყმული. მართალია, ოკუპანტებმა ბახმუტის აღმოსავლეთ ნაწილში წინ წაიწიეს, მაგრამ ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები უკრაინელთა ხელშია და ბახმუტისაკენ მიმავალ გზებსაც უკრაინელები აკონტროლებენ.

– ბახმუტთან გაჭიანურებულმა ბრძოლებმა ჩაშალა ოკუპანტების გეგმა, სწრაფად წაწეულიყვნენ წინ, – აცხადებს უკრაინის სახმელეთო ძალების სარდალი, გენერალი სირსკი.

რუსები ბახმუტთან დღეში საშუალოდ უკვე 1.000-1.500 მეომარს კარგავენ.

უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზეც ბრძოლებია. ოკუპანტები უტევენ სვატოვოს, კრემენოეს ლიმანის, ავდეევკის, შახტარსკის მიმართულებით.

ოკუპანტების აგრესიულობა გაიზარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ვერცერთი მიმართულებით ვერ წაიწიეს წინ.

– რუსული მედიის მიერ გავრცელებული ცნობა ავდეევკის მახლობლად რუსული არმიის მიერ სოფელ პობედას დაკავების შესახებ სრული სიცრუეა! – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

უკრაინის სამხრეთშიც ცხარე ბრძოლებია. მელიტოპოლთან შეინიშნება რუსული არმიის კონცენტრაცია. უკრაინელი ექსპერტის ოლეგ ჟდანოვის ცნობით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსები ამზადებენ შეტევას.

ეს ღონისძიებები გამოიხატა წერტილოვან დარტყმებში ოკუპანტების ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კონცენტრაციის ადგილებზე. რუსების რიგებში სერიოზული დანაკარგებია.

რაც შეეხება ხერსონის ოლქს, აქ შეტაკებები კვლავაც პოზიციურ ხასიათს ატარებს. ოკუპანტები განუწყვეტლივ ბომბავენ ხერსონსა და უკრაინელთა პოზიციებს. ხერსონში დანგრეულია სახლები. მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლია, კერძოდ, დაიღუპა სამი, დაშავდა 30-მდე მოქალაქე.

უკრაინელებიც მტერს საკადრისად პასუხობენ. ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც დღეს ოკუპირებულია, უკრაინელთა რეიდები არ წყდება.

# პრეზიდენტმა ბაიდენმა ევროკომისიის თავმჯდომარე მიიღო

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა თეთრ სახლში ევროკომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლიაინი მიიღო. საუბარი ძირითადად აშშ-ევროკავშირის ურთიერთობებს შეეხებოდა.

პრესკონფერენციაზე ბაიდენმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირსა და აშშ-ს შორს ურთიერთობები განმტკიცდა.

ურსულა ფონ დერ ლიაინმა, თავის მხრივ, აშშ-ის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა და გამოთქვა იმედი, რომ აშშ-ევროკავშირის ურთიერთობები განმტკიცდება.

# ამერიკულმა ბომბდამშენებმა რუსეთის საზღვარს გადაუფრინეს



ამერიკულმა სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა ბ-52-მა რუსეთის საზღვარს გადაუფრინეს. ამის თაობაზე იუწყება „ამერიკის ხმა".

ამერიკულ ავიაგამანადგურებლებს პოლონური თვითმფრინავებიც უმშვენებდნენ გვერდს.

# პუტინის უახლოეს გარემოცვაში დაპირისპირება იზრდება

რუსეთის დიქტატორ ვლადიმერ პუტინის უახლოეს გარემოცვაში დაპირისპირება გაიზარდა. ამის თაობაზე აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი იუწყება.

ამერიკელი ანალიტიკოსები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ფირმა „ვაგნერსა" და არმიას შორის წინააღმდეგობას. „ვაგნერის" შეფმა პრიგოჟინმა თავისი ორგანიზაცია, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ პარამილიტარისტულ ორგანიზაციად გადააქცია. ამან არმიის უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით უკმაყოფილოა რუსეთის არმიის გენშტაბის უფროსი, გენერალი გერასიმოვი და მისი ჯგუფი.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

დღეისათვის რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.466; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.769; არტილერია – 2.487; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა – 259; თვითმფრინავები – 308; განადგურებულია 159.090 ოკუპანტი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# პოლიციამ პენსიონერის სახლში დიდი რაოდენობით ბავშვების პორნო აღმოაჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ოკალაში პოლიციამ 72 წლის პენსიონერი მას შემდეგ დააპატიმრა, რაც გამომძიებლებმა მის სახლში 220 ათასზე მეტი ბეჭდური ბავშვთა პორნოს ამსახველი გამოსახულებები იპოვეს.

გამომძიებლებმა პოლ ზიტელის უკანონო საქმიანობის შესახებ მას შემდეგ შეიტყვეს, რაც მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინტერნეტში ატვირთულ იქნა რამდენიმე ფაილი ბავშვებზე ძალადობის ამსახველი გამოსახულებებით. პოლიციამ დაადგინა, რომ ინტერნეტში ატვირთვა მამაკაცის IP-მისამართიდან განხორციელდა, რის შემდეგაც სამართალდამცავები მამაკაცს სახლში ბინის გასაჩხრეკად ეწვივნენ.

ზიტელის მეზობლებმა პოლიციას განუცხადეს, რომ ის არავის უშვებდა თავის საძინებელსა და კაბინეტში პირადი ზედამხედველობის გარეშე. სწორედ იმ ოთახებში იქნა აღმოჩენილი უამრავი ძველი კოლოფი, რომლებიც ბავშვთა პორნოგრაფიული გამოსახულებებით იყო სავსე. გამომძიებლებმა ბინიდან ამოიღეს ბეჭდური მასალები, კომპიუტერი და ინფორმაციის შენახვისთვის განკუთვნილი მოწყობილობები. როგორც პოლიციაში აღნიშნეს, პენსიონერის სახლიდან ამოღებული პორნოგრაფიული შინაარსის მასალების წონამ ერთ ტონას გადააჭარბა.

მამაკაცი დაპატიმრებულია და ციხეშია მოთავსებული. მას გირაოს სახით 250 ათასი დოლარის გადახდა დაუწესდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# შედეგები

11 მარტი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბორნმუთი-ლივერპული ........ 1:0
ლესტერი-ჩელსი ........ 1:3
ლიდსი-ბრაიტონი ........ 2:2
ტოტენჰემი-ნოტინგემი ........ 3:1
ევერტონი-ბრენტფორდი ........ 1:0
კრ.პალასი-სიტი ........ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 26 | 20 | 3 | 3 | 59-25 | 63 |
| 2.სიტი | 27 | 19 | 4 | 4 | 67-25 | 61 |
| 3.მანჩესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 41-35 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 15 | 3 | 9 | 49-37 | 48 |
| 5.ლივერპული | 26 | 12 | 6 | 8 | 47-29 | 42 |
| 6.ნიუკასლი | 24 | 10 | 11 | 3 | 35-17 | 41 |
| 7.ბრაიტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 45-31 | 39 |
| 8.ფულემი | 26 | 11 | 6 | 9 | 38-34 | 39 |
| 9.ბრენტფორდი | 25 | 9 | 11 | 5 | 40-33 | 38 |
| 10.ჩელსი | 26 | 10 | 7 | 9 | 27-26 | 37 |
| 11.ასტონ ვილა | 25 | 10 | 4 | 11 | 31-38 | 34 |
| 12.კრ.პალასი | 26 | 6 | 9 | 11 | 21-33 | 27 |
| 13.ვულვზი | 26 | 7 | 6 | 13 | 19-35 | 27 |
| 14.ნოტინგემი | 26 | 6 | 8 | 12 | 21-47 | 26 |
| 15.ევერტონი | 27 | 6 | 7 | 14 | 20-38 | 25 |
| 16.ლესტერი | 26 | 7 | 3 | 16 | 37-46 | 24 |
| 17.ბორნმუთი | 26 | 6 | 6 | 14 | 25-51 | 24 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 6 | 5 | 14 | 23-33 | 23 |
| 19.ლიდსი | 26 | 5 | 8 | 13 | 31-42 | 23 |
| 20.საუთჰემპტონი | 25 | 6 | 3 | 16 | 20-41 | 21 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრისტოლი-ბლექპული ........ 2:0
ბარნლი-უიგანი ........ 3:0
ბირმინგემი-როტერჰემი ........ 2:0
ვესტ ბრომვიჩი-ჰადერსფილდი ........ 1:0
ქოვენთრი-ჰალი ........ 1:1
ქპრ-უოტფორდი ........ 1:0
პრესტონი-კარდიფი ........ 2:0
რედინგი-მილუოლი ........ 0:1
სუონსი-მიდლსბრო ........ 1:3
შეფილდი-ლუთონი ........ 0:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-შტუტგარტი ........ 1:1
ბაიერნი-აუგსბურგი ........ 5:3
ჰერტა-მაინცი ........ 1:1
ლაიფციგი-გლადბახი ........ 3:0
შალკე-დორტმუნდი ........ 2:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 15 | 7 | 2 | 71-25 | 52 |
| 2.დორტმუნდი | 24 | 16 | 2 | 6 | 49-30 | 50 |
| 3.ლაიფციგი | 24 | 13 | 6 | 5 | 49-29 | 45 |
| 4.უნიონი | 23 | 13 | 5 | 5 | 35-27 | 44 |
| 5.ფრაიბურგი | 23 | 12 | 6 | 5 | 35-32 | 42 |
| 6.აინტრახტი | 24 | 11 | 7 | 6 | 46-34 | 40 |
| 7.მაინცი | 24 | 10 | 6 | 8 | 39-35 | 36 |
| 8.ვოლფსბურგი | 23 | 9 | 7 | 7 | 42-31 | 34 |
| 9.ლევერკუზენი | 23 | 9 | 4 | 10 | 40-37 | 31 |
| 10.გლადბახი | 24 | 8 | 6 | 10 | 38-42 | 30 |
| 11.ვერდერი | 23 | 9 | 3 | 11 | 35-43 | 30 |
| 12.კიოლნი | 24 | 6 | 9 | 9 | 32-38 | 27 |
| 13.აუგსბურგი | 24 | 8 | 3 | 13 | 31-44 | 27 |
| 14.ბოხუმი | 24 | 7 | 1 | 16 | 26-56 | 22 |
| 15.ჰერტა | 24 | 5 | 6 | 13 | 29-45 | 21 |
| 16.შტუტგარტი | 24 | 4 | 8 | 12 | 29-41 | 20 |
| 17.შალკე | 24 | 4 | 8 | 12 | 20-44 | 20 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 23 | 5 | 4 | 14 | 29-42 | 19 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-დარმშტადი ........ 3:1
მაგდებურგი-პადერბორნი ........ 0:0
ზ.პაული-ფიურტი ........ 2:1
ფორტუნა-ჰაიდენჰაიმი ........ 1:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-ესპანიოლი ........ 3:1
ელჩე-ვალიადოლიდი ........ 1:1
სელტა-რაიო ........ 3:0
ვალენსია-ოსასუნა ........ 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 20 | 2 | 2 | 46-8 | 62 |
| 2.რეალი | 25 | 17 | 5 | 3 | 50-19 | 56 |
| 3.ატლეტიკო | 24 | 13 | 6 | 5 | 38-19 | 45 |
| 4.სოსიედადი | 24 | 13 | 5 | 6 | 32-23 | 44 |
| 5.ბეტისი | 24 | 12 | 5 | 7 | 32-25 | 41 |
| 6.ვილიარეალი | 24 | 11 | 4 | 9 | 28-23 | 37 |
| 7.რაიო | 25 | 9 | 8 | 8 | 29-28 | 35 |
| 8.ოსასუნა | 25 | 9 | 7 | 9 | 22-24 | 34 |
| 9.ბილბაო | 24 | 9 | 6 | 9 | 33-26 | 33 |
| 10.მალიორკა | 24 | 9 | 4 | 11 | 21-25 | 31 |
| 11.სელტა | 25 | 8 | 7 | 10 | 29-34 | 31 |
| 12.ხირონა | 24 | 8 | 6 | 10 | 38-38 | 30 |
| 13.ვალიადოლიდი | 25 | 8 | 4 | 13 | 19-35 | 28 |
| 14.ესპანიოლი | 25 | 6 | 9 | 10 | 31-39 | 27 |
| 15.კადისი | 25 | 6 | 9 | 10 | 20-37 | 27 |
| 16.ვალენსია | 25 | 7 | 5 | 13 | 28-28 | 26 |
| 17.ხეტაფე | 25 | 6 | 8 | 11 | 25-34 | 26 |
| 18.ალმერია | 24 | 7 | 4 | 13 | 28-42 | 25 |
| 19.სევილია | 24 | 6 | 7 | 11 | 27-39 | 25 |
| 20.ელჩე | 25 | 2 | 7 | 16 | 19-49 | 13 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ეიბარი-ბურგოსი ........ 1:0
ალავესი-ლუგო ........ 0:0
იბიცა-ვილიარეალი ბ ........ 0:0
ლას პალმასი-მალაგა ........ 2:2

### იტალია. სერია ა

ემპოლი-უდინეზე ........ 0:1
ნაპოლი-ატალანტა ........ 2:0

ნაპოლის პირველი გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა

ბოლონია-ლაციო ........ 0:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 26 | 22 | 2 | 2 | 60-16 | 68 |
| 2.ინტერი | 26 | 16 | 2 | 8 | 47-30 | 50 |
| 3.ლაციო | 26 | 14 | 7 | 5 | 41-19 | 49 |
| 4.რომა | 25 | 14 | 5 | 6 | 32-21 | 47 |
| 5.მილანი | 25 | 14 | 5 | 6 | 42-32 | 47 |
| 6.ატალანტა | 26 | 12 | 6 | 8 | 42-30 | 42 |
| 7.ბოლონია | 26 | 10 | 6 | 10 | 31-34 | 36 |
| 8.იუვენტუსი | 25 | 15 | 5 | 5 | 39-20 | 35 |
| 9.უდინეზე | 26 | 8 | 11 | 7 | 34-30 | 35 |
| 10.ტორინო | 25 | 9 | 7 | 9 | 27-29 | 34 |
| 11.მონცა | 25 | 9 | 5 | 11 | 30-35 | 32 |
| 12.ფიორენტინა | 25 | 8 | 7 | 10 | 29-31 | 31 |
| 13.სასუოლო | 25 | 8 | 6 | 11 | 30-37 | 30 |
| 14.ემპოლი | 26 | 6 | 10 | 10 | 23-34 | 28 |
| 16.ლეჩე | 25 | 6 | 9 | 10 | 24-29 | 27 |
| 16.სალერნიტანა | 25 | 6 | 7 | 12 | 28-44 | 25 |
| 17.სპეცია | 26 | 5 | 8 | 13 | 23-42 | 21 |
| 18.ვერონა | 25 | 4 | 6 | 15 | 20-37 | 18 |
| 19.კრემონეზე | 25 | 1 | 9 | 15 | 21-46 | 12 |
| 20.სამპდორია | 25 | 2 | 6 | 17 | 11-39 | 12 |

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

### იტალია. სერია ბ

ბენვენტო-კომო ........ 0:0
ვენეცია-ბრეშა ........ 1:1
მოდენა-პიზა ........ 1:0
პარმა-ზიუდტიროლი ........ 0:0
ჩიტადელა-პალერმო ........ 3:3
ბარი-ფროზინონე ........ 0:0

### საფრანგეთი. ლიგა 1

ოსერი-რენი ........ 0:0
ბრესტი-პსჟ ........ 1:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 21 | 3 | 3 | 68-26 | 66 |
| 2.მარსელი | 26 | 16 | 4 | 6 | 48-26 | 52 |
| 3.მონაკო | 26 | 15 | 6 | 5 | 55-36 | 51 |
| 4.ლანსი | 26 | 14 | 9 | 3 | 40-21 | 51 |
| 5.რენი | 27 | 16 | 5 | 7 | 46-28 | 50 |
| 6.ლილი | 27 | 13 | 7 | 7 | 49-36 | 46 |
| 7.ნიცა | 26 | 11 | 9 | 6 | 34-22 | 42 |
| 8.ლიონი | 27 | 11 | 7 | 9 | 42-31 | 40 |
| 9.რეიმსი | 26 | 9 | 13 | 4 | 34-26 | 40 |
| 10.ლორიანი | 26 | 11 | 7 | 8 | 38-36 | 40 |
| 11.კლერმონი | 26 | 9 | 7 | 10 | 26-34 | 34 |
| 12.ტულუზა | 26 | 9 | 5 | 12 | 41-46 | 32 |
| 13.მონპელიე | 26 | 9 | 3 | 14 | 41-46 | 30 |
| 14.ნანტი | 26 | 6 | 10 | 10 | 27-34 | 28 |
| 15.ბრესტი | 27 | 5 | 8 | 14 | 28-44 | 23 |
| 16.სტრასბური | 26 | 4 | 10 | 12 | 30-44 | 22 |
| 17.ოსერი | 27 | 5 | 8 | 14 | 23-49 | 23 |
| 18.აიაჩო | 26 | 6 | 3 | 17 | 20-47 | 21 |
| 19.ტრუა | 26 | 4 | 8 | 14 | 36-57 | 20 |
| 20.ანჟე | 26 | 2 | 4 | 20 | 21-58 | 10 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

სოშო-ბორდო ........ 1:1
ვალანსიენი-ბასტია ........ 2:2
გენგამი-დიჟონი ........ 2:0
გრენობლი-ანსი ........ 2:1
ლავალი-პარიზი ........ 1:2
ნიმი-კევიი ........ 2:0
პო-ნიორი ........ 1:0
როდეზი-კაენი ........ 3:2
სტ.ეტიენი-ამიენი ........ 1:1

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფერეირა-ს.კლარა ........ 1:0
შავიში-პორტიმონენშე ........ 2:0
გიმარაეში-აროუკა ........ 0:2
ვიზელა-ბრაგა ........ 3:4

### ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ემენი-ექსელსიორი ........ 2:0
სიტარდი-ტვენტე ........ 0:3
ალკმაარი-გრონინგენი ........ 1:0
სპარტა-ვიტესი ........ 3:1

### ბელგია. ა დივიზიონი

მეხელენი-სტ.ტრუიდენი ........ 1:0
ვესტერლო-კორტრაიკი ........ 3:1
ეუპენი-ოსტენდე ........ 4:4
სერენი-ანტვერპენი ........ 0:2

### თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-ქაისერი ........ 4:0
გალათასარაი-ქაშიმფაშა ........ 1:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

იანგ ბოიზი-სიონი ........ 4:0
ლუგანო-ციურიხი ........ 2:0

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-სპარტა ........ 0:3
ზლინი-ჰრადეც კრალოვე ........ 2:2
სიგმა-ჩესკე ........ 3:0
სლავია-პლზენი ........ 2:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

კორონა-რადომიაკი ........ 2:1
ზაგლებიე-პოგონი ........ 0:1
იაგელონია-გურნიკი ........ 2:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

მინაი-ოლექსანდრია ........ 1:1
ზორია-ლვოვი ........ 3:1
ინგულეცი-მეტალისტი ........ 2:1
ჩერნომორეცი-მეტალისტი 1925 ........ 1:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

2023, 13 მარტი, №50



# იტალიური მედია: „კვარაცხელია მეცნიერებმა შეამოწმონ... არა, ვიყოთ გაურკვევლობაში“



ნაპოლიმ ხვიჩა კვარაცხელიას ჯადოსნური გოლითა და ამირ რაჰმანის შესანიშნავი თავურით ატალანტა 2:0 დაამარცხა.

„კორიერე დელო სპორტმა“, ტრადიციულად, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელები დაასახელა. ცხადია, ყველაზე გამორჩეულად – ჩვენებური.

კვარაცხელია და ფიზიკის კანონები:

ერთი წუთით თავი დავანებოთ იმ სიგიჟესა და დარტყმას, რომელმაც თამაშის ბედი გადაწყვიტა. შეხვედრაში იყო სხვა რამ, რაც ფიზიკოსებმა უნდა შეისწავლონ. ჩვენ ახლა შეუძლებელზე ვამახვილებთ ყურადღებას: მხედველობაში გვაქვს ის, თუ როგორ მოძრაობს ბურთი ამ მოთამაშის ფეხებს შორის. კვარაცხელიას ფენომენალურობის ერთ-ერთი საიდუმლო ის არის, რომ ბურთი მის ბუცებს არასდროს შორდება და ეს საშუალებას აძლევს, აკეთოს, რაც უნდა: აჩქარდეს, გადაიხაროს, მიმართულება შეცვალოს, მცველები კი ამ დროს სფერულ საგანს ვერ პოულობენ. თუკი მეცნიერები ამას ახსნას მოუძებნიან, შეგვატყობინებენ, მაგრამ ჯობს, როგორც ახლაა, ისე დარჩეს: ერქვას ჯადოქრობა და გაურკვევლობა.

**ილ ნაპოლისტა:**

ბოლოს რაზე გავჩერდით? ჰო, უნებლიე საგოლე პასზე, რომელიც ერთი კვირის წინ ლაციოსთან შეხვედრაში ვეკინოს მიაწოდა. და აი, ქართველი უცხოპლანეტელი შედის ატალანტას საჯარიმოში, ყველას, ვინც მის წინ დგას, ათრობს და გააქვს არაამქვეყნიური გოლი. „შავ-ლურჯების“ დაცვა ალბათ თავის ტკივილის საწინააღმდეგოდ „იბუპროფენს“ სვამს. კვარა სხვა თვალშისაცემ რაღაცებსაც აკეთებს, მაგრამ, მოდით, აქ გავჩერდეთ და მაქსიმალური ქულა დავწეროთ, თორემ შეფასებათა რიგითი მოყვარული ჩვენს სტატიებს აღარ წაიკითხავს. და კიდევ, ხალხის ხმას იმიტომაც ვეთანხმებით, რომ რიცხვი 10 ვიღაცის ნომერს გვაგონებს.

**კალჩიონაპოლი 1926:**

ჩემპიონის სლალომი! როდესაც ის ანათებს, მეტოქეებმა არ იციან, როგორ შეაჩერონ. რთული მატჩი სწორედ მისი პირადი მოქმედებით გაიხსნა.

**ტურონაპოლი:**

– რა გოლი გაიტანა! ორმაგი გადახრა, რომელიც პრაქტიკულად მთელ ატალანტას ბარში გზავნის და სპონტანურად ბადებს კითხვას გულშემატკივრებში: არის თუ არა ეს ყველაზე ლამაზი გოლი? მინიმუმ, დრიბლინგის გამო. ის შთაბეჭდილებას ახდენს, გოლის გარდა, დრიბლინგების რაოდენობით. არაფრისგან ქმნის საგოლე მომენტებს, მაშინაც კი, როდესაც ატალანტა დაცვაშია ჩაკეტილი.

**ეუროსპორტი:**

გიგანტური სლალომი ატალანტას მცველების წინააღმდეგ, რომლის კულმინაცია მარჯვენა ფეხით დარტყმა იყო და ანგარიში 1:0 გახდა. ბევრი ციმციმი შეტევის ფაზაში და ბევრი თავდადება დაცვაში დახევისას. ქართველი თავის დონეზე დაბრუნდა.

**გოალ იტალია:**

„აძურის“ 77-ე ნომრის გოლში ყველაფერია. მხოლოდ ტაშს იმსახურებს.

**კალჩომერკატო:**

თავიდანვე მისახვედრი იყო, რომ მისი საღამო გახლდათ, მაგრამ გოლი აბსოლუტური ჩემპიონის მოქმედება იყო, რომელმაც მეტოქის მთელი დაცვა გაანადგურა.

# ოლიმპი ლიდერობას ინარჩუნებს

სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. გუნდების ნაწილს 3 მატჩის ჩატარება დარჩა, ნაწილს – ოთხის. შესაბამისად, ბრძოლა მწვავდება სხვადასხვა მიზნისთვის. ზოგი გუნდი ფლეი ოფში გასასვლელად იბრძვის, ზოგსაც რეგულარულის მოგება და, შესაბამისად, ფლეი ოფში ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობის მიღება უნდა, ზოგსაც ლიგაში დასარჩენი საკვალიფიკაციო რაუნდისთვის თავის არიდება სურს.



**ოლიმპი-მარგვეთი 98:91**

**(30:17; 22:31; 17:23; 29:20)**

ოლიმპმა მოიგო, მაგრამ გამარჯვება იოლად არ მოსულა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა მარგვეთმა ლიდერს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და, ცოტაც რომ გამართლებოდა, მოიგებდა. საბოლოოდ კი გამარჯვება ოლიმპს დარჩა – 98:91.

არადა, თამაში ოლიმპის დიდი უპირატესობით დაიწყო. როგავას გუნდმა პირველი პერიოდი 30:17 მოიგო, მაგრამ მეორე ათწუთეულიდან მარგვეთელებმა სამიზნე გაისწორეს, დაცვაში თამაში გამოაკეთეს და შედეგიც მოიმკეს. 31:22 მოგებული მეორე ათწუთეულის შემდეგ ოლიმპის ლიდერობიდან 4 ქულა დარჩა.

დიდი შესვენების შემდეგ მარგვეთმა შედეგიანი თამაში განაგრძო, რაც უმეტესად შორი სროლებით გამოიხატა და მალე მდევრის როლში მყოფი გუნდი თავად გალიდერდა. რონი როზიეს, ზაკ უოლტონისა და ნიკა ჩეჩელაშვილის შედეგიანობით მარგვეთი წინ 8 ქულით გაიჭრა. ოლიმპის მწვრთნელს წუთშესვენების აღება და თავისი გუნდის თამაშში კარდინალური ცვლილებების გატარება მოუხდა. მედგარი დაცვით ოლიმპმა მარგვეთის მოთამაშეებს სამქულიანების სროლა შეუზღუდა, ხოლო თავად როგორც შორ, ისე ახლო სროლებს აგდებდა და ბოლო პერიოდში ლიდერობაც დაიბრუნა.

გივი ბაქრაძის გონივრული თამაშითა და ლინტონ ესლაისის შედეგიანობით ოლიმპმა ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიპოვა, რომელიც ბოლო წამებამდე შეინარჩუნა და აქტივში მორიგი გამარჯვება ჩაიწერა.

30 ქულით მოგებულ გუნდში საუკეთესო ესლაისი იყო. 14 ქულითა და 10 მოხსნით გამოირჩა ლუკა კალატოზიშვილი. გივი ბაქრაძის ანგარიშზე 18 ქულა და 9 პასი დაგროვდა. მარგვეთში საუკეთესო შედეგი მარქუს გილსონმა დააფიქსირა 19 ქულითა და 15 მოხსნით. რონი როზიეს ანგარიშზე 21 ქულა და 6 პასი დაგროვდა.

**დელტა-რუსთავი 91:99**

**(24:29; 19:19; 14:27; 34:24)**

ანატოლი ბოისას გაწვრთნილ რუსთავს გურჯაანელების დასამარცხებლად დიდი ჯაფა არ დასდგომია. მატჩის საბოლოო ანგარიშია 99:91 რუსთაველთა სასარგებლოდ, თუმცა ეს სრულად არ ასახავს მათ უპირატესობას.

პირველ პერიოდში მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ რუსთაველებმა მაინც მოახერხეს ათწუთეულის სათავისო ანგარიშით დასრულება – 29:24. თანაბარი გამოდგა მეორე პერიოდი, რომელიც ფრედ – 19:19 დასრულდა და დიდი შესვენებისთვის რუსთაველთა უპირატესობა ისევ 5 ქულას შეადგენდა.

მესამე პერიოდიდან ქვემოქართლელებმა მატჩზე სრული კონტროლი დაამყარეს და უპირატესობას როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური თამაშის ხარჯზე ზრდიდნენ. მეოთხედის შუაში სტუმართა უპირატესობამ 18 ქულას მიაღწია, რის შემდეგაც გურჯაანელთა მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ძიძიგურმა წუთშესვენება აიღო და სათამაშო ტაქტიკა შეცვალა, რამაც ნაწილობრივ გაამართლა.

ბოლო პერიოდის წინ რუსთაველები 12 ქულას იგებდნენ და ლუკა ბულაშვილის, გუგა პატაშურისა და რევაზ როგავას ოსტატური თამაშის წყალობით ქვემოქართლელებმა გამარჯვებამდე მიიყვანეს მატჩი.

რუსთაველებს ბულაშვილმა ულიდერა, რომელმაც 27 ქულა მოაგროვა. 20 ქულა მიითვალა როგავამ, პატაშურის ანგარიშზე 16 ქულა, 11 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა. გურჯაანელთაგან 17 ქულით ბომბარდირი გახდა დერიკ ნიუტონი, გეგი ბაქრაძემ შეხვედრა 16 ქულით დაასრულა.

**ქუთაისი-ტიტები 95:94**

**(31:31; 21:16; 25:22; 18:25)**

ბესიკ ლეჟავას გაწვრთნილი ტიტები ამჟამად ბოლოსწინა ადგილზეა და, თუკი ასე დაასრულებს რეგულარულს, სუპერლიგაში დასარჩენი საკვალიფიკაციო რაუნდის ჩატარება ა ლიგის ფინალში წაგებულ გუნდთან მოუწევს. საკვალიფიკაციოს თავიდან არიდების გზაზე მოზრდილი ნაბიჯის გადადგმა ტიტებს სწორედ ქუთაისთან შეეძლოთ. ბესო ლეჟავას გუნდს მეტოქე რომ დაემარცხებინა, სამ გუნდს – ტიტებს, ქუთაისსა და მარგვეთს 6-6 მოგება უგროვდებოდათ. დაძაბულ, დრამატულ ბრძოლაში ქუთაისელებმა 1 ქულით – 95:94 მოიგეს და ცხრილში ორივე ნახსენები კონკურენტის წინ დადგნენ.

ტიტები 5 მოგებით ბოლოსწინა ადგილზე დარჩა და დარჩენილ 4 ტურში ეცდება ბოლოსწინა ადგილის თავიდან არიდებასა და, შეძლებისდაგვარად, ფლეი ოფში გასვლას. შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში საუკეთესო 8 გუნდი გადის, მე-9 ადგილზე გასული გუნდი კი სეზონს ამთავრებს.

**კაკტუსი-კავკასია 74:96**

**(19:23; 26:32; 13:19; 16:22)**

ამ გუნდებმა სუპერლიგის პირველი წრე ერთნაირი შედეგით – 8 მოგებითა და 2 მარცხით დაასრულეს, თუმცა მეორე წრეში ორივეს დალმასვლა დაეწყო. ეს უფრო კაკტუსზე ითქმის, რომელმაც მეორე წრის 7 მატჩიდან 6 წააგო. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ მე-6 მარცხი კავკასიასთან განიცადა – 74:96.

კავკასიას ფლეი ოფი განაღდებული აქვს და სურს, რაც შეიძლება მეტი მატჩი მოიგოს, რადგან ფლეი ოფში რეგიონის გუნდს თუ შეხვდა, მოედნის უპირატესობა ჰქონდეს, ხოლო კაკტუსმა თუ ასე გააგრძელა და თამაში ვერ მოიგო, თეორიულად, შესაძლოა, ფლეი ოფს მიღმაც კი დარჩეს

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ოლიმპი | 16 | 13 | 3 | 1398-1287 | 29 |
| 2.რუსთავი | 16 | 12 | 4 | 1452-1256 | 28 |
| 3.კავკასია | 16 | 11 | 5 | 1301-1281 | 27 |
| 4.კაკტუსი | 17 | 9 | 8 | 1303-1364 | 26 |
| 5.დელტა | 17 | 8 | 9 | 1430-1370 | 25 |
| 6.თსუ | 16 | 8 | 8 | 1347-1310 | 24 |
| 7.ბათუმი | 15 | 8 | 7 | 1268-1236 | 23 |
| 8.მარგვეთი | 17 | 6 | 11 | 1307-1401 | 23 |
| 9.ქუთაისი | 16 | 7 | 9 | 1319-1372 | 23 |
| 10.ტიტები | 16 | 5 | 11 | 1334-1369 | 21 |

# დვალიშვილმა რუსი მებრძოლი გალახა

მერაბ დვალიშვილმა რუს პიოტრ იანს შანსი არ დაუტოვა და, მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, გამარჯვება მოიპოვა.

რუსი უფც-ის სუპერმსუბუქი წონის ყოფილი ჩემპიონია, მაგრამ ამას დვალიშვილისთვის პრობლემები არ შეუქმნია. ხუთივე რაუნდმა ქართველის უპირატესობით ჩაიარა. ჩვენებური ყველაფერში სჯობდა მეტოქეს – დგომშიც და პარტერშიც ქულებს ქულებზე აგროვებდა. იანსაც, დაცვაში დგომის გარდა, სხვა შანსი არ ჰქონია. მისი იშვიათი შეტევები დვალიშვილს საფრთხეს ვერ უქმნიდა. ჩვენებურმაც გაიმარჯვა, სამშაბათიდან რეიტინგში დაწინაურდება და რეიტინგის მეორე ნომერი გახდება, შემდეგ კი სატიტულო ბრძოლაც უნდა გამართოს...

ქართველმა ბრძოლის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა.

**მერაბ დვალიშვილი:**

– პიოტრმა ჩემზე თქვა, ნულიაო. ვინ არის ახლა ნული? ჩემი საბრძოლო სტილი ყველას ანგრევს, მხოლოდ ალჯამეინ სტერლინგთან, ნამდვილ ჩემპიონთან მაქვს ხოლმე რთული რაუნდები. გიგა ჭიკაძე მეძახდა, პიოტრისთვის ფეხებში ძლიერად დამერტყა, რამაც ძალიან კარგად იმუშავა. ნებისმიერს მივმართავ: ვისაც უნდა, იმას ვეჩხუბები. მე ისევ მოწყურებული ვარ!

რა თქმა უნდა, ჩემპიონობა მსურს და კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ ამს ვიმსახურებ.

მინდა ვთქვა, რომ ომის წინააღმდეგი ვარ! დიდება უკრაინას, დიდება საქართველოს! დიდება თავისუფლებას! ჩვენ სწორედ ეს გვჭირდება. შეაჩერეთ ომი. ის უნდა დასრულდეს! და საქართველო, მიყვარხართ, ყველას ძალიან დიდი მადლობა!

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სოფო ბათილაშვილი: „მე არ ვარ მომღერალი, რომელიც ხელებს ლამაზად შლის და მღერის ყვავილებზე“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

უკვე დიდი ხანია, ვერავისში ძალას ვერ ვხედავ, გარდა ხალხისა.

მეც ამ ხალხის ნაწილი ვარ, რომელიც მზადაა, იქამდე იბრძოლოს, სანამ მიზანს არ მიაღწევს და საჭიროების შემთხვევაში თავს შეაკლავს რეჟიმს, იმიტომ, რომ არაფერი სხვა არ არსებობს თავისუფლების გარეშე. არ ვიცი, სად და რაზე უნდა ვიმღერო, რა მუსიკა უნდა ვწერო ან რა უნდა ვაკეთო, როცა ჩემი სამშობლო იღუპება.

აქციაზე პატარა ბავშვი გამოვიდა სიტყვით, საქართველოში ჩამოვედი იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა ცუდადააო. ამაზე ზუსტი შეფასება არ მომისმენია.

არ ვიცი, სხვანაირად როგორ იხსნება, რომ არ გვინდა რუსეთი, არ ვიცი, სხვანაირად როგორ იხსნება, რომ ხალხია საშიში და არა რობოკოპები. დაგვშლით? კიდევ გამოვალთ! მოგვწამლავთ? კიდევ გამოვალთ! გვცემთ? მაინც გამოვალთ! დაგვიჭერთ? ჩვენი სხვა მეგობრები გამოვლენ! იმათაც დაიჭერთ? ყველას დაიჭერთ? რამდენ ათას კაცს დაიჭერთ?

არ გვეშინია, არა! თქვენ ხართ ის, ვისაც უნდა ეშინოდეს.

თითოეული ადამიანის ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ეს ბრძოლა იქამდე გაგრძელდება, ვიდრე რეჟიმსა და ბოროტ იმპერიაზე გამარჯვება არ მოვა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მოკარნახე თეატრში; 2. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. აფრიკული ლეშის მჭამელი ცხოველი; 9. პოემა „ბახტრიონის“ პერსონაჟი; 12. ტერიტორიული ერთეული იაპონიაში; 14. გულღრძო, შურიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 15. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. მგალობელი ჩიტი; 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

**თარაზულად:** 5. იაპონელი კინორეჟისორი; 6. წვრილად დაჭრილი შემწვარი ხორცისგან მომზადებული ფრანგული კერძი; 8. ცნობილი ბაზარი ბარსელონაში; 10. ასოთამწყობი სასტამბო მანქანა; 11. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტაზე; 13. გერმანული ლუდი; 16. ბატკნის ხორცისგან მომზადებული პოპულარული ქართული კერძი; 18. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 19. ფულის ერთეული პოლონეთში; 21. მონასტერი ხულოს რაიონში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 23. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აბსურდი; 2. სინეკურა; 3. გვილია; 4. ლალია; 5. ბარითმია; 8. ფალსტაფი; 12. პინო; 13. სარასატე; 14. რიკოთი; 16. ჩელესტა; 18. გონიო; 20. მუზა.

**თარაზულად:** 6. აბრსკილი; 7. დავითაია; 8. ფაველა; 9. ორერა; 10. მუსავატი; 11. პამპლონა; 15. კალიფორნია; 17. შოთაძე; 19. თურმანიძე; 21. ლაგვანი; 22. ფენოლოგია; 23. გაუტამა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზაქათალა; 2. დათვი; 3. ტრაგედია; 4. ხოხობი; 7. ონისე; 9. სტეკი; 12. სტეფენსონი; 14. ალონსო; 15. პრიკაზი; 17. ჰეზბოლა; 20. სიათა.

**თარაზულად:** 5. საგურამო; 6. ბარამბო; 8. იავნანა; 10. მასანდრა; 11. ფლინტი; 13. ამარტო; 16. ვილჰელმი; 18. მედია; 19. სინჯი; 21. მიქსტი; 22. ოზურგეთი; 23. სტალინი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

13 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5925

ევრო — 2.7460

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1066

100 რუსული რუბლი — 3.4127

## ამინდის პროგნოზი 13 მარტისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიმონე ინძაგი: „შედეგით იმედგაცრუებული ვარ“

მილანის ინტერმა სტუმრად სპეციასთან წააგო და ამ მარცხის შემდეგ ნაპოლისთან ჩამორჩენა უკვე 18 ქულაა. მატჩის შემდეგ სიმონე ინძაგიმ თქვა, რომ გუნდის თამაშით იმედგაცრუებულია და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს: „ცუდი საღამო იყო და ჩვენ მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოვეთიშეთ. სამშაბათს მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს და მასზე უნდა ვიფიქროთ“.

## მარკო ვან ბასტენმა ხვიჩა კვარაცხელია შეაქო



ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა მარკო ვან ბასტენმა ხვიჩა კვარაცხელიას გატანილ გოლზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო გოლია, რომელიც მას უნახავს. ვან ბასტენმა ხვიჩაზეც ილაპარაკა და, მისი აზრით, ის ამჟამად საუკეთესო ფორმაშია: „კვარაცხელიას შეუძლია, ხიფათი მეტოქე გუნდის კართან ნებისმიერ წამს შექმნას და ის ძალიან სწრაფია. ვფიქრობ, მას აქვს პოტენციალი, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გახდეს“.

## რიშარლისონი: „კონტემ პასუხი უნდა გამცეს“

ტოტენჰემის ბრაზილიელმა ფორვარდმა რიშარსილონმა განაცხადა, რომ თავისი სათამაშო დროით უკმაყოფილოა და სურს, მოედანზე უფრო მეტი დრო გაატაროს. ტოტენჰემის ფორვარდის თქმით, მას შეუძლია, გუნდს სარგებლობა მოუტანოს: „კონტე უსამართლოდ მექცევა, რადგან მე უკეთესს ვიმსახურებ. ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები და მინდა, რომ უფრო მეტი ვითამაშო. ტოტენჰემს იდეალური სეზონი არა აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება“.

## სანდრო ნებიერიძემ სალონური შეხვედრა გადადო



პიანისტმა სანდრო ნებიერიძემ დაგეგმილი სალონური შეხვედრა-კონცერტი „უძღები შვილის დაბრუნება“ გადადო:

— სამწუხაროდ, ქვეყანაში დატრიალებული მოვლენების გამო მომიწია ჩემი სალონური შეხვედრა-კონცერტის გადადება...მიუხედავად იმისა, რომ პროტესტი სამაგალითო შედეგით დასრულდა, მიმაჩნია, რომ საყოველთაო დაძაბულობის ჟამს ეს კონცერტი კონტექსტიდან ამოვარდნილი იქნება. უეცრად დატრიალებული აჟიოტაჟის გამო ბილეთებიც მწირად დაიყიდა, სტეინვეის შოურუმი კი ბევრ ხალხს ისედაც ვერ იტევს. თუმცა, ეგ არაფერი! ამ სალონურ შეხვედრას და კიდევ ერთ არაჩვეულებრივ და ჩემთვის უპრეცედენტო პროექტს, ჩვენი საყვარელი და უმაგრესი რექტორის ნანა შარიქაძის იდეით შემოთავაზებულს, აგვისტოში დაბრუნებისთანავე შემოგთავაზებთ. ვინც ბილეთები იყიდეთ, ჩვეულებრივ შეძლებთ დაბრუნებას. საბოლოო ჯამში კი, უზომოდ მიხარია, რომ ჩემს 3-კვირიან სახლში დაბრუნებას უკვალოდ არ ჩაუვლია — უმნიშვნელოვანეს საყოველთაო მოვლენას და მართლაც რომ საოცარ ერთიანობას მოვესწარი და ვამაყობ, რომ ამ ყველაფერში მეც მივიღე მონაწილეობა.

მადლობა ყველას, ვინც მგულშემატკივრობთ და განსაკუთრებით მათ, ვინც ჩემ გვერდით იდგა ეს დღეები პარლამენტის წინ. უდიდესი საქმის გაკეთება შევძელით და უდიდესი რწმენა დავიბრუნეთ ყველამ ერთად.

აგვისტომდე დაგემშვიდობებით, მანამდე კი მხნეობასა და ჯანმრთელობას გისურვებთ!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



13 მარტისათვის

**ვერძი** — ეს დღე აღინიშნება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ტენდენციებით. საქმიანი კონტაქტები ნაყოფიერი არ იქნება. **კურო** — პასიური დღეა. მშვიდად იყავით და საკუთარი შეცდომების გამოსწორებაზე იფიქრეთ. **ტყუპები** — ერიდეთ კონფლიქტს ნათესავებთან. ემოციებს ნუ აჰყვებით. **კირჩხიბი** — წონასწორობა შეინარჩუნეთ. ეცადეთ, ეს დღე ბუნებასთან სიახლოვეს გაატაროთ. **ლომი** — ვარსკვლავები გმფარველობენ. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. **ქალწული** — საქმიან ურთიერთობებში პრობლემებია მოსალოდნელი. მიენდეთ ინტუიციას. **სასწორი** — სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. მოსალოდნელია ურთიერთობის გაუარესება კოლეგებთან. **მორიელი** — აქტიური დღეა. შრომა უთუოდ დაგიფასდებათ. უფროსობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. **მშვილდოსანი** — ახალ ნაცნობობას ერიდეთ. საქმიანი კონტაქტები მაქსიმალურად შეზღუდეთ. **თხის რქა** — თქვენი არასტანდარტული შეხედულებები სამსახურში ხელმძღვანელობისა და კოლეგების უკმაყოფილებას გამოიწვევს. დისციპლინა და ორგანიზებულობა დღის დევიზია. **მერწყული** — ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. ანგარიში გაუწიეთ სხვის აზრს. **თევზები** — ნებისმიერი წამოწყება სასიკეთოა. თქვენი ოპტიმიზმი გადამდებია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

— სულელო, ვინ გითხრა, რომ მსუქანი ხარ? მიდი, ორი სკამი მოიტანე და გვერდით მომიჯექი.

•••

კარზე აკაკუნებენ. სახლის პატრონი კარს აღებს და ხედავს, სტუმარია.

— წინასწარ რატომ არ გამაფრთხილე? — საყვედურობს მასპინძელი სტუმარს.

— მინდოდა, სახლში დამხვედროდი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეკითხება:

— რას აკეთებ?

— არაფერს.

— კი მაგრამ, გუშინაც მასე არ მიპასუხე?

— ვერ დავამთავრე და დღეს ვაგრძელებ...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— სახლში ძაღლი მყავს. ადრე ძეხვს რომ ვიყიდიდი, ჯერ იმას დავუგდებდი და თუ შეჭამდა, მერე მეც ვჭამდი.

— ახლა, შეიცვალა რამე?

— ჰო, ახლა ის მელოდება, თუ მე შევჭამ, მერე ისიც იწყებს ჭამას.

## ეკა კვალიაშვილმა კონცერტი გააუქმა

მომღერალმა ეკა კვალიაშვილმა დაგეგმილი კონცერტი გააუქმა. მიზეზი ქვეყანაში არსებული დაძაბული დღეები აღმოჩნდა:

— ჩემი კონცერტი გადავდე თვის ბოლოსკენ შექმნილი მდგომარეობის გამო. კონცერტის ზუსტ რიცხვს გაგაგებინებთ. ბოდიშს გიხდით შექმნილი დისკომფორტისთვის.

## ნინო ბურდული 65 წლის გახდა



თეატრისა და კინოს მსახიობი ნინო ბურდული 65 წლის გახდა.

ხელოვანმა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლა ფორტეპიანოს განხრით დაამთავრა და თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ლილი იოსელიანის სახელოსნოში ისწავლა.

ნინო ბურდული მაყურებელს ახსოვს კინომსახიობთა თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის, თავისუფალი თეატრის, თეატრალური სარდაფის, სამეფო უბნის თეატრისა და თეატრ „ვერიკოს“ სცენებზე.

იუბილარი მსახიობი კინოეკრანზე პირველად გამოჩნდა ფილმში „იყო და არა იყო რა“, რასაც მოჰყვა ფილმები „მწირნი“, „3-1“, „სკაპენის ოინები“, „სანამ წვიმა გადივლიდეს“, „მეჯლისი გაყიდულ სახლში“, „სიკეთის ტელეფონი“, „სამი სახლი“... ყველაზე დიდი პოპულარობა კი ნინო ბურდულს მოუტანა სერიალმა „ყავა და ლუდი“, სადაც ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.

მსახიობმა ტელევიზიაშიც ცადა ბედი, იყო გადაცემა „სუსტი რგოლის“ წამყვანი, ჰქონდა რამდენიმე საავტორო პროექტი.

ნინო ბურდულის სარეჟისორო დებიუტი თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში შედგა, სადაც ბორის აკუნინის „ვთამაშობთ „თოლიას“ დადგა.

## სამეფო უბნის თეატრი ბერლინში მიიწვიეს

სამეფო უბნის თეატრი ბერლინში საგასტროლოდ გაემგზავრა.

თეატრის დასი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სცენაზე გერმანელი მაყურებლისთვის პაატა ციკოლიას სპექტაკლს „მედეა ს01ე06“ ითამაშებს.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ეკა დემეტრაძე, სანდრო სამხარაძე, გია ბურჯანაძე.

5 წლის წინ, 2018 წლის ივნისში, ბერლინის სახელოვანი ბერლინის დოიჩე თეატრის სცენაზე ქართული თეატრისთვის მართლაც ისტორიული ამბავი დაიწერა თუ გათამაშდა. სამეფო უბნის თეატრმა 2 სპექტაკლი წარმოადგინა: „ტროელი ქალები“ და „პრომეთე/დამოუკიდებლობის 25 წელი“. წელს ქართული თეატრი პაატა ციკოლიას სპექტაკლს „მედეა ს01ე06“ წარადგენს.

## მუსიკოსი სანდრო მიშელაშვილი 2.000 ლარით დააჯარიმეს

ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსი სანდრო მიშელაშვილი 2.000 ლარით დააჯარიმეს. ინფორმაცია თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა:

— ჩვენი მუსიკოსი სანდრო მიშელაშვილი გამოუშვეს. ის სრულიად უდანაშაულოდ ჰყავდათ დაკავებული. სპეცრაზმმა ადამიანთა ჯგუფს მოულოდნელად ალყა შემოარტყა და განურჩევლად ყველა დააკავა. დააკისრეს ჯარიმა 2.000 ლარი, რაც მისი 3 თვის ხელფასის ტოლფასია. კომენტარი არ მაქვს!

## თუმანიშვილის თეატრში მსახიობებმა სპექტაკლის ფინალი შეცვალეს



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში მსახიობებმა რეჟისორ ზურა გეწაძის მიერ უილიამ შექსპირის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ჰამლეტი/მანქანა“ ითამაშეს.

წარმოდგენის ბოლოს მსახიობებმა მაყურებელთან გამოსვლისა და თავის დაკვრით დროს პლაკატები გამოიტანეს წარწერებით: „ჩვენ ვირჩევთ ევროპას!“ და „ფაქ რაშა!“

დამსწრე საზოგადოებამ მსახიობები მქუხარე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

## სოფო ბათილაშვილი: „მე არ ვარ მომღერალი, რომელიც ხელებს ლამაზად შლის და მღერის ყვავილებზე“



აცხადებს „მხოლოდ ქართულის“ გამარჯვებული მომღერალი სოფო ბათილაშვილი და გულდაწყვეტილია იმის გამო, რომ საქართველოში მის თანატოლებს სცემენ:

— ძალიან მტკივნეულია ის, რაც საკუთარი თვალებით ვნახე, ძალიან მტკივნეულია ის, რასაც გვიშვრებიან ყველას, მათ შორის, დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულ ადამიანებს, რომლებმაც კარგად ვიცით თავისუფლების ფასი და არ დავთმობთ არაფრის ფასად.

ძალიან მტკივნეულია იმის ნახვა, როგორ სცემენ შენს თანატოლს ან, რა მნიშვნელობა აქვს, ნებისმიერ ადამიანს, იმის გამო, რომ არასწორი, მავნე კანონის წინააღმდეგ და ამ ქვეყნის ნორმალური მომავლისთვის იბრძვის. ვწერ ამას ხელების კანკალითა და თვალებში დაგუბებული ცრემლებით. სიბრაზესა და უსამართლობის განცდას ვყავარ მოცული.

მე არ ვარ მომღერალი, რომელიც ხელებს ლამაზად შლის და მღერის ყვავილებზე, არ ვარ ადამიანი, რომელსაც ან პირიდან თაფლი გადმოსდის, ან ოდესმე ტყუილად და ყალბად გაგიღიმებს.

თუ რაიმემ ეს წარმოდგენა შეგიქმნათ ჩემზე, ძალიან უცნაურია. ესე იგი, არ მიცნობთ და არ მომისმინოთ, არ იყიდოთ ჩემს კონცერტზე ბილეთი და გამაქრეთ თქვენი სივრციდან. მე ჩემს საქმეს პროტესტით ვემსახურები. იმას, რასაც ახლა ვქმნი და ვამზადებ, რომ თქვენც მალე მოგასმენინოთ, ვქმნი იმიტომ, რომ რაღაც მაქვს სათქმელი. სხვანაირი არც მუსიკის მწამს, არც მხატვრობის, არც არაფრის და არ ვუჭერ არცერთ ხელოვანს მხარს, რომელიც ყვავილებს ხატავს და ყვავილებზე მღერის.

მთელი ცხოვრება აპარტიული ვიყავი. თუ ვინმესთვის ხმა მიმიცია, მხარი დამიჭერია და მომავალში დავუჭერ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათში ვხედავდი ან დავინახავ უკეთეს ალტერნატივას.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 2. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 3. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 4. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 5. პირველი ამერიკელი კოსმონავტი ქალი; 8. ქალაქ ლვოვის ძველი სახელწოდება; 12. ბოროტი, შურიანი, ღვარძლიანი ადამიანი; 13. ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მექანიზმისგან შედგენილი მანქანა; 14. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 18. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 18. საშობაო სიმღერა; 20. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი.

**თარაზულად:** 6. ნოდარ დუმბაძის რომანი; 7. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 8. კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი ჩინური კომპანია; 9. ქართული საესტრადო ვოკალური კვარტეტი; 10. უეფას პრეზიდენტი; 11. ჩეჩენ-ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. ბიბლიური ტექსტების ახსნა-განმარტება; 17. პატარა მოთხრობა; 19. საელჩოების, საკონსულოების თარჯიმანი აღმოსავლეთის ქვეყნებში; 21. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 22. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 23. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

